საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 128 (930)
ოთხშაბათი. 20 ივლისი. 1994 წელი.
ფასი 15000 კუპონი

მის აღმატებულებას
ედუარდ შევარდნაძეს —
საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის თავმჯდომარეს

პატივცემულო ბატონო შევარდნაძე.

ლიტვასა და საქართველოს თუმცა დიდი მანძილი აშორებს, მაგრამ ქრისტიანული კულტურის ჩვენს ქვეყნებს შორის ბევრ საერთოს იპოვის. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ხალხების მრავალი წლის თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება.

გამოვთქვამ იმედს, რომ საქართველოში ლიტვის საპარლამენტო დელეგაციის ყოფნას მოჰყვება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩვენს ქვეყნებს შორის ეს იმპულსს მისცემდა ყველა დონეზე ჩვენი ურთიერთობის გააქტიურებას.

გიწვევთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, ლიტვის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად თქვენთვის მოსახერხებელ დროს. თქვენი ვიზიტი, უეჭველია, ხელს შეუწყობს ლიტვის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

მინდა ვუსურვო საქართველოს ხელმძღვანელობას წარმატებანი საქართველოს ეკონომიკის რეფორმებში, სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში, მცხოვრებთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ვუსურვებ თქვენს სახელმწიფოს წინსვლასა და აყვავებას, პირადად თქვენ კი, ბატონო თავმჯდომარევ, ჯანმრთელობასა და ყოველგვარ წარმატებას.

გულწრფელი პატივისცემით
ალგირდას ბრაზაუსკასი,
ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ვილნიუსი.
1994 წლის 15 ივლისი.

შეხვედრა ლიტვის სეიმის დელეგაციასთან

19 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ლიტვის სეიმის დელეგაციას სეიმის კანცლერის — ნეის ჟერმანიის ხელმძღვანელობით.

გრაჩოვმა ნეგატიურად შეაფასა

მოსკოვი, 19 ივლისი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). რუსეთს არ შეუძლია ყველას მაგივრად გასწიოს ხარჯები სამშვიდობო ოპერაციებში. თუ თანამეგობრობა გვაქვს, ერთადაც უნდა ვიყოთ. ეს მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით. ასე მიაჩნია რუსეთის თავდაცვის მინისტრს პაველ გრაჩოვს. მან მეტად ნეგატიურად შეაფასა დღეს იტარ-საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებს არ სურთ დაეხმარონ რუსეთის „ცისფერ ჩაჩქნებს" ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში.

როგორც ცხადყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომის მეორე დღემ, მხოლოდ ტაჯიკეთია მზად გაგზავნოს სოხუმში გაძლიერებული ასეული. ყირგიზეთი და სომხეთი სთავაზობენ თავიანთ მეთვალყურეებს. აზერბაიჯანმა, ბელარუსმა, ყაზახეთმა, უზბეკეთმა უარი თქვეს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობაზე. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა დღეს დღის წესრიგიდან მოხსნა სამშვიდობო აქციებში მონაწილეობის, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფაში თანამეგობრობის სახელმწიფოების სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტთა მომზადებისა და გაწვრთნის საკითხების განხილვა. სანამ არ იქნება სახელმწიფოთა თანხმობა ძირითადი საკითხის — ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მათი მონაწილეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტაში, ამის განხილვას აზრი არა აქვს, აღნიშნა პაველ გრაჩოვმა. მან თქვა, რომ თავისი კოლეგების პოზიციას მოახსენებს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირს, რომელიც 9 სექტემბერს სოჭში უნდა გაიმართოს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს გაყოფისა და თ. ჯაფარიძის ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობის გააქტიურების მიზნით:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გაიყოს ცალკე იურიდიულ პირებად.
2. გათავისუფლდეს **პეტრე ჩხეიძე** ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან და დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.
3. დაინიშნოს **თედო ჯაფარიძე** საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

თ. ჯაფარიძის კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **თედო ჯაფარიძე** საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

თ. ჯაფარიძისათვის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

მიენიჭოს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს **თედო ჯაფარიძეს** საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

ჯ. გიუნაშვილის ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ჯემშიდ გიუნაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

ჯ. გიუნაშვილისათვის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

მიენიჭოს **ჯემშიდ გიუნაშვილს** საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ე. შევარდნაძე.

მეწარმეობა-რეგიონთა ურთიერთობის ახალი რგოლი

რუსეთ-საქართველოს საქმიანი წრეების ერთობლივი კონფერენციის გამართვის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქართველ მეწარმეთა დიდ ჯგუფს, აგრეთვე მინისტრებს, ქარხნების დირექტორებს, ბიზნესმენებს.

შეხვედრის გახსნისას სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს საქმიანი წრეების მომავალი ერთობლივი კონფერენცია, რომელიც თბილისში დაიწყებს მუშაობას 21 ივლისს, გაიმართება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით და მან უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამისათვის არსებობს ყველა წინაპირობა, კერძოდ, საქართველოსა და რუსეთის მეწარმეთა ურთიერთსასარგებლო ინტერესების ერთობლიობა.

შეხვედრაზე გამოსულები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ორივე მხარის ინტერესებში შედის. აღნიშნეს, რომ მიუხედავად რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა, ქართველ მეწარმეებს შესწევთ ძალა, რომ გადაჭრან ყველა პრობლემა, რომელიც ერთნაირად აინტერესებს პარტნიორსაც და ნათელ პერსპექტივებს სახავს. მაგრამ ამისათვის უკვე ახლავე უნდა მომზადდეს ნიადაგი, სრულყოფილი გახდეს საბანკო სისტემა, გაუმჯობესდეს კრიმინოგენური სიტუაცია, ყოველმხრივ დაცული იყოს სატრანსპორტო მაგისტრალები.

შეხვედრაზე ილაპარაკეს აგრეთვე ე. წ. სამრეწველო საქმეებზე და მოიტანეს დამაფიქრებელი ციფრები: წარმოების ბევრ დარგში შეიმჩნევა დაღმასვლა. მაგალითად, საქართველოს 315 საწარმოდან მუშაობს მხოლოდ 129, ისიც არასრული დატვირთვით. არ კმარა ელექტროენერგია, საწვავი, გაზი, თურქმენეთის ვალი გაზისათვის სულ უფრო იზრდება.

შეხვედრაზე გამოსულმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს განზრახული აქვს მომავალი კრედიტები მოახმაროს ელექტროსისტემის საჭიროებას, მარცვლეულის შესყიდვასა და მეტროპოლიტენის მუშაობის გაუმჯობესებას.

შეკრებილებმა გამოხატეს რწმენა, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, რუსეთის მეწარმეებთან დიალოგი საქმიან ვითარებაში შედგება და ორი ქვეყნის ურთიერთსასარგებლო პრაქტიკულ საქმეებში გადაიზრდება.

შეხვედრის დასასრულ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა კონფერენციის პოლიტიკური მნიშვნელობა და თქვა, რომ ასეთმა შეხვედრებმა ხელი უნდა შეუწყოს რეგიონთაშორის კონტაქტების გაღრმავებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჩარჩოებში, რომ ამ კონფერენციამ ახალი, მძლავრი საფუძველი უნდა ჩაუყაროს ორი ქვეყნის კავშირურთიერთობას და ტრადიციად იქცეს.

დახმარება გაძლიერდება

18 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ დამსწრეთ გააცნო პარიზში საქართველოს დელეგაციის ყოფნის შედეგები, სადაც იგი შეხვდა მსოფლიო ბანკისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენლებს, განიხილეს საქართველოსადმი ეკონომიკური დახმარების საკითხები.

საქართველო, როგორც ცნობილია, დასავლეთისგან იღებს ჰუმანურ და ტექნიკურ დახმარებას. მაგრამ, მთავრობის აზრით, ქვეყანას უფრო მასირებული ფინანსური დახმარება სჭირდება, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ხასიათის სტრუქტურულ რეფორმათა განხორციელებას. როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, დონორი ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესით გაეცნენ პრივატიზაციის პროგრამის რეალიზაციას, რომელიც ხორციელდება ინფლაციის შესაკავებლად. მათ მთლიანად დაუჭირეს მხარი საქართველოს მისწრაფებას გარდაქმნას თავისი ეკონომიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ფაცაციამ, პოლიტიკური სტაბილიზაციის, კრიმინოგენული სიტუაციის დაძლევის პრობლემებს. მსოფლიო ბანკი, განაცხადა მან, მზად არის გამოყოს დამატებითი კრედიტები. ყველაფერი დამოკიდებულია შინაპოლიტიკურ ვითარებასა და იმაზე, თუ როგორ შევასრულებთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებს. კრედიტებით მხარს დაუჭერენ პრივატიზაციასაც. ამ დარგში საკონსულტაციო დახმარებისთვის საქართველოში უკვე მოემგზავრებიან ექსპერტები.

პრესკონფერენციაზე ლაპარაკი იყო კრედიტების გამოყენების კონტროლზეც. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია სახელმწიფოს მეთაურის ხელმძღვანელობით.

პარიზში განიხილეს დახმარების კონკრეტული პროგრამებიც, უწინარეს ყოვლისა, პროგრამები, რომლებიც ენერგეტიკულ პრობლემებსა და მარცვლეულის მოწოდებას ეხება. პრემიერ-მინისტრმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ევრობანკი მზად არის გამოყოს კრედიტები „საქენერგოს" მიერ შემუშავებული პროექტებისთვის. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, თბილისსრესის, ენგურჰესის, ჟინვალჰესის კაპიტალურ რემონტს. წლის დამლევამდე ამ მიზნით უნდა მივიღოთ 10 მილიონი დოლარი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეულწილად გადავჭრათ ქვეყნის საზამთრო ენერგეტიკული პრობლემები.

შეეხო რა გაზისა და მაზუთის მოწოდებას, პრემიერ-მინისტრმა შეკრებილთ აცნობა, რომ უკვე შეძლეს 3 ტრილიონი კუპონის პროდუქციის დაგროვება, რომელიც კლირინგის საფუძველზე მოხმარდება თურქმენეთის გაზის მოწოდების საფასურის გადახდას. ევროგაერთიანების ჰუმანური დახმარების სახით მივიღებთ 100 ათას ტონა მაზუთს. ამავე მიზნებს მოხმარდება რუსეთის კრედიტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ევროპის საკრედიტო ხაზებით საქართველო მიიღებს მარცვლეულს. მიღწეულია აგრეთვე მორიგება ყაზახეთიდან 100 ათასი ტონა მარცვლეულის მოწოდების შესახებ.

პარიზის შეხვედრებზე, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, მიღწეული იყო მთავარი — მორიგება საქართველოს პრობლემებისადმი ევროპის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და წამყვანი ქვეყნების უფრო მეტი ყურადღების შესახებ. თბილისში უკვე ჩამოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს შემდგომ რეფორმათა პროგრამის შემუშავებაში, რომლებისთვისაც გამოიყოფა ფინანსური დახმარება. მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო ჯგუფი წლის დამლევამდე განიხილავს საქართველოსათვის დამატებითი დახმარების საკითხს.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, ჯანმრთელობის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

მიღება პარლამენტში

19 ივლისს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდის გამრიგებელი დირექტორი პოლ მიქი.

სტუმარი დაინტერესდა საქართველოს პარლამენტის სტრუქტურებით და მათი მუშაობის ეფექტიანობით. ბატონმა პოლ მიქმა განაცხადა, რომ მათ ფონდს მჭიდრო ურთიერთობა აქვს 110 ქვეყნის პარლამენტთან და სურვილი გამოთქვა ასეთივე კავშირი საქართველოს პარლამენტთანაც დაამყაროს. ამერიკელმა სტუმარმა აღნიშნა, რომ ფონდი დაინტერესებულია ჩვენს ქვეყანასთან საკანონმდებლო ასპექტში ურთიერთობით და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი თანამშრომლობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს. მან ბატონ ვახტანგ გოგუაძეს შესთავაზა აგრეთვე, რომ საქართველოს პარლამენტში შეიქმნას საექსპერტო ინფორმაციის ცენტრი სხვადასხვა საკითხების ექსპერტიზის მაღალ დონეზე განსახორციელებლად.

პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ სტუმარს სთხოვა განსაკუთრებული მადლობა გადასცეს ამერიკელ ხალხს იმ დიდი ჰუმანური დახმარებისა და პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, რასაც ისინი იჩენენ საქართველოს მიმართ, — ჩვენი მიზანია, თქვა მან, — რომ მალე თქვენი ქვეყნის ღირსეული პარტნიორი გავხდეთ.

იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდის გამრიგებელი დირექტორი პოლ მიქი შეხვდა პარლამენტის იურიდიული კომისიის წევრებს.

ამერიკელი სტუმარი დაინტერესდა პარლამენტის, კერძოდ, იურიდიული კომისიის საქმიანობით და გამოთქვა თანამშრომლობისა და დახმარების სურვილი.

— ჩვენი მიზანი არ არის პარლამენტის საქმიანობაში უშუალო ჩარევა, — განაცხადა მან, — არამედ, გვსურს დავეხმაროთ საქართველოს პარლამენტს მოქნილი მუშაობისათვის ეფექტიანი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე შენობის აღდგენაში, მის კომპიუტერიზაციაში, რათა პარლამენტს ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცეს.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ამერიკელი ექსპერტები გარკვეულწილად საკანონმდებლო საქმიანობაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას, როგორც გერმანელები, რადგანაც ამერიკის სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ წყობის მოდელში ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და საქართველოსათვის მისაღები.

სიტყვისა და საქმის
ერთგულება

ლაითურელები მამლის ყივილს ასწრებენ

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ოზურგეთის რაიონის გამგებლის კობა ხომერიკის კაბინეტის კარი შევაღე. საქმიან ადამიანთან შეხვედრისას მალე გამოიკვეთება ხოლმე მთავარი სათქმელი (ღიმილს იწვევს, კაცზე რომ იტყვიან, კარგი მოლაპარაკეაო, კარგად ლაპარაკობს ის, ვინც კარგად ფიქრობს, სიტყვა აზრის სამოსია).

რაიონის გამგებელი ლაპარაკობს ნათლად, მოკლედ, ზუსტად, კონკრეტულად, (აბა, ამ გაგანია სამუშაო დღეებში „ზოგად საკითხებზე" საუბრის დრო ვისა აქვს). მან ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადებისა და გადამუშავების სადღეისოდ აქტუალურ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, ხაზი გაუსვა იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებს, რაც ძირითადად აფერხებს მეჩაიეთა საქმიანობას. ისიც თქვა, რომ ამ ბოლო დღეებში მეჩაიეებმა ერთგვარად გამოაცოცხლეს მუშაობა, იგრძნობა წინსვლა.

ბატონმა კობა ხომერიკმა შეაქო ლაითურის აგროსამრეწველო გაერთიანების კომბინატის მშრომელები, რომლებიც არა თუ რაიონში, მთელს რესპუბლიკაში გამოირჩევიან უხვმოსავლიანობით, ყველაზე ადრე დაიწყეს ფოთლის კრეფა და ყოველდღიურად ათობით ტონა ნედლეულს კრეფენ. გაგონილს თვალით ნანახი სჯობიაო, მირჩია ბოლოს და მეც ლაითურს ვეწვიე.

მასპინძლები კარგ ხასიათზე დამხვდნენ — უკვე 1600 ტონაზე მეტი ფოთოლი დაუმზადებიათ. ეს უკვე სარეკორდოა ამ საქვეყნო გასაჭირის დროს.

1930 წლის დამდეგს დაჰკრეს პირველი ბარი ლაითურელებმა (პირველი მუშა გიორგი პატარაია ყოფილა. ცხონდეს მისი სული!), 960 ჰექტარზე გაჩეხეს ულრანი ტყე-ჯაგნარი და ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციები გააშენეს. ახლაც ღიღინებენ ლაითურელები, „სადაც ყმუოდა მგელი და ტურა, იქ გავაშენეთ ჩაის კულტურაო". მას შემდეგ სამოცდათოთხმა ზამთარ-ზაფხულმა ჩაიარა. ახლა ლაითური რესპუბლიკაში ჩაის წარმოების ერთ-ერთი „ბეღელია", მოჰყავთ სხვა სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავალიც. შრომის თაყვანისცემა ამ მეურნეობის უცვლელი ტრადიცია გახლავთ, რაც წლების მანძილზე დანერგეს აქაურ ხელმძღვანელთა ძველმა თაობებმა. დღევანდელობას მათი მადლიანი ღვაწლი უდევს საფუძვლად. მოწიწებით იხსენიებენ განსვენებულ დირექტორებს შოთა გოგეშვილს, ოთარ ნადარაიას, ლეგენდარულ ვახტანგ ჰიოშვილს, ქიშვარდი გოგიბერიძეს, რომლის ვაჟი მერაბიც ახლა მამისეულ სკამზე ზის და მის საქმიანობას აგრძელებს, მეურნეობა-კომბინატს სანაქებოდ თავკაცობს. ასეა: თუ წარსულს, წინაპარს ქვა ესროლე, მომავალი თოფს გესვრის. ამიტომაც აფასებენ ღვაწლმოსილთა ამაგს...

მეურნეობის დირექტორი მერაბ გოგიბერიძე, დაბის გამგებელი, ვანო ქუთათელაძე, მთავარი აგ- [illegible] პირიძე პლანტაციებში, მეჩაიეებთან [illegible].

— აი, შეხედეთ იმ ფერდობებს, ჩვენი უხვმოსავლიანი პლანტაციები აქედან იწყება, — მითხრა მერაბ გოგიბერიძემ.

მართლაც, მომხიბვლელი სანახაობაა — ჩაის ბუჩქების მწკრივები სტრიქონებივით გადავლებია ქედებს. აქედან თითქმის მთელი მეურნეობის ავლადიდება ხელისგულივით მოჩანს, ვიბერთელა, ზღაპრულ ხალიჩასავით მოუხატავს არემარე. პლანტაციაში სიცოცხლე ჩქეფს: მეჩაიეები ფუტკრებივით შესევიან ბუჩქებს, თვალდახელშუა ავსებენ კალათებს, გოდრებს, ახვავებენ მწვანე ფოთოლს.

გამაცნეს მოწინავე აგრარუბნის ხელმძღვანელი როლანდ ჩხარტიშვილი. ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი ახალგაზრდა პირველობას არავის უთმობს, ყოველი დღის ბოლოს 10-15 ტონა ნედლეულს აბარებს წარმოებას, სეზონში დავალების გადამეტებით 50 ტონა ფოთლის მოკრეფას ვარაუდობს.

ვინახულეთ მოწინავე აგროუბნების მეჩაიეთა ნაკვეთები, რომლებსაც აგრონომები არჩილ მიქელაძე, ჯიმშერ თუთისანი, შადურ მგელაძე და სხვები ხელმძღვანელობენ. ყველა უბანზე, კუთხე-კუნჭულში, როგორც „ადრე" იტყოდნენ ხოლმე, შრომითი სულისკვეთება სუფევს.

ვნახე კრეფაში გართული მეჩაიე ევგენია გორბატენკო. საოცარი სისწრაფით კრეფდა ლორთქო დუყებს. მის გვერდით შრომობდა დედამისი —80 წელიწადს გადაცილებული ანასტასია.

— ქალბატონო ანასტასია, თქვენ, პენსიონერ ქალს, გავალებენ ფოთლის კრეფას? — მორიდებულად შევეკითხე მოხუცს.

— ლუკმა პურს არავინ დამამადლის, მაგრამ იცით თუ არა, რომ ეს პლანტაციები ამ დაკოჟრილი ხელებით მაქვს გაშენებული? ქვეყანას უჭირს, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, სანამ სული მიდგას, გაურჯელად ვერ გავჩერდები, — მიპასუხა და შრომა განაგრძო. იკურთხოს მისმა მარჯვენამ!

იქვე, „მუხას" ტერიტორიაზე არსებულ პლანტაციაში მომუშავე მკრეფავებს დიდძალი ფოთოლი მოუგროვებიათ და მწონავი ჯამბულ შევარდნაძე ძლივს ასწრებს სავსე კალათების სასწორზე შედგმას... რამდენი მეჩაიე მინდა ჩამოვთვალო, დღიურად მილიონ კუპონზე მეტი ღირებულების ფოთოლს რომ კრეფს! გვეცანი პლანტაციის გმირები ქუჟუნა მიქელაძე, არუსა კარაპეტიანი, ვიქტორ რიგალიანი, ქრისტინე სანაძე, ქუჟუნა ბოლქვაძე, თითოეულ მათგანს სეზონის დაწყებიდან 60-70 მილიონი კუპონი ხელფასი ერგება შრომის საფასურად.

ირგვლივ შემოკრებილმა მეჩაიეებმა თითქმის ერთხმად გამოთქვეს საყვედური, მილიონობით კუპონს კი გამოვიმუშავებთ, მაგრამ რად გვინდა, ბაზარში სათოფედ არ იკარებიანო.

მერაბ გოგიბერიძემ თავი დააქნია, მართლაც ასეაო. იქვე დასძინა, ოღონდ ერთი კია, მუშებსა და მოსამსახურებს არ ვაკლებთ ფქვილს, შაქარს, მარილს, მარგარინს, ბურღულს, ხილეულის წვენებს, ჯემსა და სხვა სასურსათო პროდუქტებსო.

სწორია, უმადურები როდი ვართ, მადლობის მეტი რა გვეთქმისო, — დაუდასტურეს დირექტორს ნათქვამი მკრეფავებმა. ჩვენი დირექტორი დილიდან საღამომდე მუშებთან ერთად ტრიალებს კომბინატში, მუდამ ჩვენს გვერდით დგას. ასე კაცურად გვპატრონობდა მისი მამა სულმნათი ქიშვარდი გოგიბერიძეც, ბიჭიც მამის კვალზე ხტისო, დასძინეს.

— ეს მარტო ამაგის დაფასება ან ხალხის ბოძებული ჯილდოა თუ ორივე ერთად? — ჩუმად ვეკითხები დირექტორს.

— არც ერთი, არც მეორე, — უბრალოდ, ხელმძღვანელის მოვალეობას ვასრულებ, თუ მართლაც ისე კარგად, როგორც თქვენს მადლი უფალს. — ასევე ხმადაბლა მიპასუხა მან.

სამექანიზაციო ჩაის ნაკვეთში რომ ჩავედით, თვალი მომტაცა ლარივით სწორმა მწკრივებმა, რამდენიმე ათეული ჰექტარი პლანტაციის ყოველი ბუჩქი თანაბარი განვითარებისაა, წვეთი წყალივით ერთმანეთის მსგავსი. გუშინდელ დღესავით მახსოვს, 40 წლის წინათ გამომგონებელ შალვა ქერესელიძის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" გამოცდა. უნდა გადაეწყვიტათ, ღირდა თუ არა მისი სერიული გამოშვება. სხვებთან ერთად კომისიაში იყვნენ გაზეთ „კომუნისტის" განყოფილებათა გამგეები, ცნობილი ჟურნალისტები დიტო ლომთაძე და თედო კუნჭულია. მაშინ ახალბედა ჟურნალისტი ვიყავი, გაზეთის საკუთარ კორესპონდენტად ახალნაკურთხი. თბილისიდან ტექნიკის დარგის მრავალი სპეციალისტი ჩამოვიდა. შემოწმებამ მთელს დღეს გასტანა. ყველაფერი დადებითად გადაწყდა. ორი დღის შემდეგ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა ვრცელი სტატია — „გამოცდა, რომელიც ყველას აინტერესებს". მას ორ პოპულარულ ჟურნალისტთან ერთად მეც ვაწერდი ხელს. ეს იყო 1954 წლის ივლისში... „საქართველომ" ჩინებული შეფასება მიიღო.

ახლაც ისევ ძველებურად დახრიალებენ ეს ჩაის საკრეფი კომბაინები ბუჩქებს შორის, ისევ ახვავებენ ტონობით ფოთოლს. ერთ-ერთი მათგანის მძღოლმა მიხეილ კულაკოვმა ამაყად განაცხადა, რომ მან უკვე შეასრულა მაის-ივნისის სავარაუდო დავალება — 40 ტონამდი ნედლეული მოკრიფა მანქანა „საქართველოთი". სეზონში კი 100 ტონაზე მეტს მოკრეფს. იგი ყოველდღიურად 3 ტონაზე მეტ ფოთოლს აბარებს. ასეთივე სარეკორდო შედეგი აქვს მექანიზატორ მერაბ ფუტკარაძეს, სხვებსაც. მოწინავენი თითებზე ჩამოსათვლელი როდი არიან. — 600 ჰექტარზე მეტ პლანტაციას მანქანებით კრეფენ.

ყველაზე კარგი გინდა თქვა, დაწერო პატიოსან მშრომელთა ალალი ლუკმის ფასზე, გწადია ყველას განურჩევლად მოეფერო. რა რიგ სწამს აქ დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას, რომ შრომით უნდა ვიხსნათ, გადავარჩინოთ ჩვენი სახატე საქართველო, რომ სხვა წამალი არ არსებობს! ერთმა ლაითურელმა სიცილით მითხრა, აქაური მამლები ჩვენს გასაღვიძებლად ტყუილა ყივიან, გარიჟრაჟიდან ყველანი ჩაის პლანტაციებში ვართ გაკრეფილებიო.

რომელი ფაქტი გინდა ხაზგასმით გამოჰყო: მარტო ის რად ღირს, რომ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შვილებს 5 ბაგა-ბაღი ემსახურება ზამთარ-ზაფხულ, მათ შორის — სადღეღამისო ბავშვთა პანსიონატიც. ვინახული ეს დაწესებულებები. გაგიხარდებათ ამ გაჭირვების ჟამს ლაითურში რა გულითადად ზრუნავენ ნორჩებზე.

თეთრი მრავალსართულიანი ნაგებობებით დამშვენებული დაბის ცენტრი ქალაქისას არაფრით ჩამოუვარდება. 2 საშუალო სკოლა, საღამოს საშუალო სკოლა, აგრონომიული კოლეჯი, რომელიც საშუალო განათლების აგრონომებს, ბუღალტრებს, ეკონომისტებს ამზადებს. აქვეა მუსიკალური სკოლა... მეჩაიეებს ემსახურება ავტობუსი, რომელსაც მუშა-მოსამსახურენი უფასოდ გადაჰყავთ ოზურგეთში. სულ აგროსამრეწველო კომბინატის ტერიტორიაზე 5 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს, მათ შორის 800 მეჩაიეა.

ექვსი თვე მიიწურა და აქ ერთი დანაშაულიც არ მომხდარა. პოლიციის მაიორი ბორის ზოიძე და კაპიტანი სოსო თოდრაძე კომბინატის აქტივთან ერთად მეცადინეობენ სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. მალე აქ პოლიციის ქვეგანყოფილებას გახსნიან (შენობა უკვე გამოყოფილია).

ლაითურელ მეჩაიეებს ერთი დიდი სამდურავი აქვთ — ელექტროენერგიის რესპუბლიკური სამსახურის მუშაკებისადმი. კომბინატის 2 მძლავრი ფაბრიკა დღეღამეში ათობით ტონა ფოთოლს ამუშავებს, მაგრამ დენის წარამარა გამორთვის გამო გამართულად ვერ მუშაობს. სათანადო რესპუბლიკურ ორგანოებს ქმედით დახმარებას სთხოვენ. ოღონდ ეს ისე მითხრეს, დამანამუსეს კიდეც, არ დასწერო, ვაი თუ „გაგვიკუშტდნენო".

ახლა ნამდვილი „მწვანე რთველი" აქვთ ლაითურში. ეს კომბინატი, ალბათ, ერთ-ერთი პირველია რესპუბლიკის ჩაის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის, წარმატებით რომ დასძლია შემაფერხებელი მიზეზები, თუნდაც ობიექტური, და ჩინებული ტემპით კრეფს და ამუშავებს ფოთოლს. ეს დიდი, მისაბაძი საქმეა!

ბრძენ ავენარიუსს ჰკითხეს, როგორ მიაღწიე ამხელა მწვერვალს მეცნიერებაშიო. იმით, რომ არა მრცხვენოდა მეკითხა ის, რაც არ ვიცოდიო, მიუგო მან. ურიგო არ იქნება თუ თქვენც, მეჩაიეობაში ჩამორჩენილებო, არ შეგრცხვებათ, იწვევით და ჰკითხავთ ლაითურელებს, თუ როგორ აღწევენ ამხელა წარმატებებს ამ ძნელბედობის ჟამს!

ბეგლარ ჩხაიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

სურათზე: ლაითურის ჩაის აგროსამრეწველო გაერთიანების კომბინატის დირექტორი მერაბ გოგიბერიძე (შუაში) ამოწმებს მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

მერვე სვეტი

საუბარი „ალკატელის" წარმომადგენლებთან

19 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის — ფრანგული ფირმის „ალკატელის" წარმომადგენლები ფირმის მენეჯერის ბატონ ჟერარ ლანფანის მეთაურობით. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით უახლოეს მომავალში დაგეგმილია თბილისის სატელეფონო ქსელის სრული რეკონსტრუქცია და 500 ათასი ნომრის ტევადობის ახალი სატელეფონო სადგურის მშენებლობა. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, ისინი საქართველოში ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის ჩამოვიდნენ და იმედი აქვთ, რომ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში შესძლებენ წინასწარი საპროექტო სამუშაოების შესრულებას. ბოლოს ითქვა, რომ ერთობლივი საწარმოსთვის მოამზადებენ ქართულ კადრებს და პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში საქართველო ამიერკავკასიის ცენტრი გახდება ტელეკომუნიკაციის დარგში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური — საქინფორმი.

განიხილეს პრივატიზაციის საკითხი

19 ივლისს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა მიიღო ევროგაერთიანების ექსპერტები პრივატიზაციის დარგში ჯესპერ ლარსენი და პიტერ უილიამსონი.

საუბარი შეეხო საქართველოში პრივატიზაციის პერსპექტივებს და ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო საკითხებში ევროგაერთიანებასთან თანამშრომლობას.

37 ათასი დოლარი — საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტში

როგორც იტყობინება თურქეთში საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო, თავისი არსებობის თვენახევრის მანძილზე — 18 ივლისს მან გასცა მეათასე ვიზა. ამით საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში შემოვიდა 87 ათასი დოლარი.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. 18 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამინისტროს, ქ. თბილისის მერიასა და გერმანულ ფირმა „გრაფ ფონ ბრიულმაუზს" შორის დადებული ხელშეკრულების ღონისძიებათა რეალიზაციის საკოორდინაციო კომისიის მუშა თათბირი, რომელსაც უძღვებოდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი.

ხელშეკრულების ძირითადი მიზანია ერთობლივი საწარმოს შექმნა, თამბაქოსა და ლიქიორ-არყის პროდუქციის წარმოება, ვრცელი საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, პირველ ეტაპზე 200 მილიონი გერმანული მარკის ინვესტირება, თამბაქოს ფაბრიკების, ლიქიორ-არყის ქარხნის რეკონსტრუქცია, ამ დარგების ახალი საწარმოების მშენებლობა და 7 მილიონი გერმანული მარკის გამოყოფა სპეციალისტების მოსამზადებლად.

ფირმა „გრაფ ფონ ბრიულმაუზის" პრეზიდენტი გრაფ ფონ ბრიულის სამუშაო ვიზიტი თბილისში კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერი კოტე კაპანაძე და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი დავით ჩირქილაძე.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

დაისახა დამატებითი ღონისძიებები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ 1994 წლის პროგნოზით გათვალისწინებულია 300 ათასი ტონა ჩაის ფოთლის წარმოება და გადამუშავება.

წლეულს მეჩაიეობის ყველა რაიონში ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა, კრეფაც შარშანდელთან შედარებით რამდენადმე ადრე დაიწყო. ამის მიუხედავად, 7 ივლისისათვის მოკრეფილი იყო მხოლოდ 45,3 ათასი ტონა. კრეფა და გადამუშავება მნიშვნელოვნად ფერხდება საწვავითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებაში, ზოგიერთ რაიონში ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში, კრედიტებისა და ხელფასების გაცემაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო.

მეჩაიეობის რაიონებს ჯერჯერობით მიღებული აქვთ მხოლოდ 4,5 ათასი ტონა სადიზელე საწვავი და ისიც ძირითადად საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებს მოხმარდა. ბოლო პერიოდში მიწოდებულია 12,4 ათასი ტონა მაზუთი, აქედან 7 ივლისისათვის დარჩენილი იყო 6-8 ათასი ტონა ფოთლის გადამუშავებისათვის საჭირო მარაგი. პლანტაციებში დღეისათვის შეტანილია 20,0 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი, ანუ პირველი დოზით გათვალისწინებული საჭირო რაოდენობის 77,8 პროცენტი.

მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ არ შესრულდა წლეულს, აპრილის დამლევს ქალაქ ზუგდიდში გამართული მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება და დღემდე არ არის მოგვარებული დარგის კრედიტებით უზრუნველყოფის საკითხი. დეპარტამენტ „საქენერგოს" მიერ გაუნაღდებელია 1993 წელს ბუნებრივი აირის სანაცვლოდ დამზადებული და მიწოდებული ჩაის პროდუქციის ღირებულება — 80 მილიარდი კუპონის ოდენობით, რის გამო მეჩაიეობის ყველა რაიონში შექმნილია უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა.

არ შესრულებულა აგრეთვე დაპირება მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ღირებულების სასურსათო პროდუქტებითა და პირველადი მოთხოვნილების სხვა საგნებით დასაქონლების შესახებ (ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ ამ დანიშნულებით გამოყო 70 ტონა მარგარინი და 153 ათასი ცალი სარეცხის საპონი).

მეჩაიეობის ყველა რაიონში მთლიანად არ არის ამოქმედებული ადგილობრივი რეზერვები და შესაძლებლობები, მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია, უკიდურესად დაბალია ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, გვიანდება შემოსული ფოთლის კრეფა, რის გამოც იგი უხეშდება და უარესდება ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხი.

ზემოაღნიშნულის შედეგად საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ჩაის ფოთლის კრეფისა და მზა პროდუქციის გამოშვების 1994 წლის პროგნოზის შესრულება, სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ჩაის პროდუქციის მიწოდება სასურსათო პროდუქტებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების შემოსაზიდად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ჩაის, როგორც საკლირინგო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის მიმწოდებელი დარგისათვის განკუთვნილი საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს ეთხოვა ნება დართოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე გამოყოს ჩაის მწარმოებელი და გადამმუშავებელი საწარმოებისთვის შეღავათიანი ემისიური სესხები, წლიურად 120 პროცენტი საფასურის გადახდევინებით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს კი ეთხოვა, უზრუნველყოს რაიონული საბანკო დაწესებულებების ფულის ნიშნებით მომარაგება მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებლად გასაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, პურპროდუქტების კორპორაციას, საწარმოო გაერთიანება „აზოტს", დეპარტამენტ „საქგაზს", სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტებს", დეპარტამენტ „საქენერგოს", სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტს, სხვა შესაბამის ორგანიზაციებს დაევალათ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მეჩაიეობის ყველა რაიონს ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების, მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

შეხვედრა ზუგდიდში

19 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი თესლიმურ რახმანი, გაეროს წარმომადგენელი გალის შტაბში სებსადიჩი, როსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი სერგეი ბუშმარინოვი. ისინი შეხვდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილეს გენერალ-მაიორ გურამ ნიკოლაიშვილს, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარეს ვალერი ვაშაკიძეს, რომელიც ამჟამად ზუგდიდში იმყოფება, და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბის უფროსს, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის სამეგრელოს რეგიონის სამმართველოს უფროსს იური ბეჟვაიას.

სტუმრები დაინტერესდნენ სამშვიდობო ძალების მოქმედებით, კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციით, ლტოლვილთა მდგომარეობით და მათი მშობლიურ კუთხეში დაბრუნების პერსპექტივებით. ამ საკითხებზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

ეს ინფორმაცია მიღებულია აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრიდან.

თამაზ როგავა.

ინახულეს ირაკლი წერეთელი

19 ივლისს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ და სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარემ რომან მიმინოშვილმა ინახულეს პარლამენტის წევრი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი, რომელმაც 9 დღის წინათ შიმშილობა გამოაცხადა.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა სპიკერს გააცნო თავისი მოთხოვნები, რაც შემდეგში გამოიხატება: ოპოზიციის წარმომადგენლებს კვირაში ერთხელ მაინც უნდა მიეცეთ სახელმწიფო ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლის საშუალება; მოწვეულ იქნეს პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელზეც განიხილავენ სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს და სხვა. ირაკლი წერეთელი მოითხოვს აგრეთვე ავთანდილ რცხილაძის, ზაურ ქობალიას და სხვათა, ვისაც არსებული ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, განთავისუფლებას.

აზრთა გაზიარება გულახდილ ვითარებაში გაიმართა.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ თქვა, რომ ქვეყანაში შექმნილია რთული ვითარება და თავისთავად დრომაც მოიტანა საგანგებო სხდომის მოწვევის საკითხი. იგი იმასაც დაეთანხმა, რომ საჭიროა გაგრძელდეს ერის ჩამთლიანების ტენდენცია — დავიწყოთ შემორიგება იმ ადამიანებისა, რომლებმაც მოინანიეს და ამავე დროს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ. ეს შემორიგების პროცესი არ უნდა იყოს კამპანიური ხასიათისა, ასევე არ უნდა იყოს ერთჯერადი პროცესი ადამიანის უფლებების დაცვაც, აღნიშნა მან.

შიმშილობის ცხრა დღის განმავლობაში მოშიმშილეს ერთადერთხელ ეწვია ექიმი. პარლამენტის სპიკერმა აღუთქვა ამ ამბის მოგვარება.

ნინო თათრულაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის 1994-1995 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსახლეობისა და სამეურნეო კომპლექსის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისათვის 1994 წლის 17 მარტის № 162 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ 1994 წლის 17 მარტის № 162 დადგენილების პრაქტიკული შესრულება მიმდინარეობს რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში. შემცირებულია გაზის მოწოდება რესპუბლიკაში, არ არის დაგროვილი მაზუთი, ენერგოსისტემა კვლავ მუშაობს საავარიო სიხშირეზე, 46-47 ჰერცის ფარგლებში, რაც გამოწვეულია მაგენერირებელი სიმძლავრეების უქონლობით და ელექტროენერგიის მოხმარების პროცესის უმართაობით, მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი ენგურჰესისა და ვარდნილჰესების მუშაობასთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის მდინარე ენგურის ენერგიის ეფექტიანად გამოყენებას.

არ არის გადაწყვეტილი ენერგოსისტემის დადგმული სიმძლავრეებისა და ქსელის აღდგენა-განვითარების სამუშაო მოცულობის, მასალების, მოწყობილობისა და სათბობის შეძენის ფინანსირების საკითხი, რაც აფერხებს გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას. არ სრულდება დადგენილებით მოცემული დავალება, რაც ითვალისწინებს 1994 წელს გარკვეული ოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავებას.

ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ენერგიით ავტონომიური წყაროებით უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქ. თბილისის პურპროდუქტების ობიექტებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განმხოლოების მიზნით.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების განმხოლოების პროგრამის შესრულება მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად და მისაღებია განსაკუთრებული ზომები დარჩენილ პერიოდში მის შესასრულებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგოდამზოგ ღონისძიებებს, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებებს და აქვთ ეფექტი.

დიდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხალხისა და ხელისუფლების სტრუქტურების ერთობლივ მიზანდასახულ საქმიანობას ენერგიის დაზოგვასა და შეზღუდვის გრაფიკების დასაცავად.

ასეთ ვითარებაში ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა დადგენილი გარანტირებული მინიმალური მოხმარების პირობებში უცილობლად ფუნქციონირებდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, სამრეწველო საწარმოები და გარკვეული, შეზღუდვის წინასწარ გამოცხადებული გრაფიკით უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობა ელექტროენერგიით.

ყველა მოყვანილი თუ სხვა ასპექტის გათვალისწინებით შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის პერიოდში უნდა შეიცვალოს კონცეპტუალური მიდგომა ენერგომოხმარებისადმი, რაც ითვალისწინებს არა მომხმარებლების უზრუნველყოფას, არამედ ჩვენს განკარგულებაში არსებული ენერგომატარებლების ელექტრო და თბური ენერგიისა და სიმძლავრის რაციონალურად, მაქსიმალური ეფექტიანობით განაწილებას.

1994-95 წლების შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ჩაითვალოს რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შეუფერხებელი მუშაობა.

2. მიღებულ იქნეს აუცილებელი შესრულებისათვის:

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 17 მარტის № 162 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა 1994 წლის IV და 1995 წლის I კვარტალების ელექტროენერგიის გარანტირებული გამომუშავებისა და სიმძლავრის ბალანსები ყოველდღიურად 20-22 მილიონი ელექტროენერგიის მოხმარებისათვის, — I ვარიანტი № 1 დანართის თანახმად;

— რკინიგზის წევის ქვესადგურების ნუსხა, რომელთაც შეუფერხებლად უნდა ეწოდებოდეთ ელექტროენერგია, № 2 დანართის თანახმად.

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ნუსხა, რომელთა ფუნქციონირება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს 1994-95 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში № 3 დანართის თანახმად.

3. 1994 წლის 15 ივლისიდან რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი გადაყვანილ იქნეს მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე. ელექტროენერგიის გარანტირებული გამომუშავების, ელექტროენერგიისა და ენერგომატარებლების, ლიმიტირებისა და შეზღუდვის მასალები მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმის შემოსაღებად დამუშავდეს ცალკე, 5 დღის ვადაში.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, რესპუბლიკის დეპარტამენტებმა, გაერთიანებებმა, კონცერნებმა, სააქციო საზოგადოებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და კომერციულმა სტრუქტურებმა:

— შეიმუშაონ და 1994 წლის პირველ ნოემბრამდე განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის თავისი მეურნეობის ობიექტების მოსამზადებლად;

— 1994 წლის ნოემბრამდე შექმნან სარეზერვო სათბობის მარაგები იმ რაოდენობით, რომ ძირითადი სათბობის მოწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის პირობებში უზრუნველყოფილ იქნეს სასიცოცხლო ობიექტების მუშაობა, განახორციელონ ნავთობპროდუქტების, თხევადი გაზის, ნახშირისა და შეშის აუცილებელი მარაგის შეზიდვა ყველა რეგიონში და მათი მოსახლეობისათვის მიყიდვა;

— განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნიონ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების შემცირება მათი ყაირათიანი ხარჯვის გზით;

— დაიცვან მათ გამგებლობაში შემავალი ქალაქებისა და რაიონებისათვის ლიმიტებით განსაზღვრული ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მინიმალური მნიშვნელობები;

— განსაკუთრებული და პირველი კატეგორიის მომხმარებელთათვის უზრუნველყონ ელექტროენერგიით კვების ავტონომიური წყაროების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მზადყოფნა და შესაბამისი რაოდენობის საწვავით მომარაგება;

— სათბობის დაზოგვის მიზნით უზრუნველყონ შენობა-ნაგებობათა დათბუნვა;

— ბუნებრივი გაზის მოწოდების მკვეთრი შემცირების ან შეწყვეტის პირობებში დეპარტამენტ „საქგაზის" მითითებით დაუყოვნებლივ გადაიყვანონ წარმოება-დაწესებულებანი ბუნებრივი გაზიდან სარეზერვო საწვავზე, მათ შორის ტექნოლოგიური პროცესები, გარდა იმ პროცესებისა, სადაც ბუნებრივი გაზი ნედლეულს წარმოადგენს;

— უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში არსებული ელექტროქვესადგურების დაკომპლექტება კვალიფიციური პერსონალით სულ ცოტა ორი კაცისა ცვლაში;

— დაუყოვნებლივ შეასრულონ დეპარტამენტ „საქენერგოს" მითითებები ელექტრული სიმძლავრეებისა და ენერგიის შეზღუდვის შესახებ ენერგოსისტემაში წარმოქმნილი ავარიული სიტუაციების დროს;

5. დეპარტამენტმა „საქენერგომ" უზრუნველყოს:

— 1994 წლის პირველ ნოემბრამდე მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში 1300 მილიონი კვტს ელექტროენერგიის შესაბამისი მოცულობის წყლის დაგროვება. შევსებული წყალსაცავიდან წყლის ხარჯვა აწარმოოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური გრაფიკით;

— 1994 წლის პირველ ნოემბრამდე თბილსრესის № 9 და № 10 ენერგობლოკების საანგარიშო ეკონომიურობით და იმედიანობით მუშაობის მოწესრიგება და მათი სრული სიმძლავრით ამოქმედება;

— ენგურჰესსა და ვარდნილჰესებზე აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოთა პირობების შექმნა;

— 1994 წლის პირველ ნოემბრამდე დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ჟინვალის წყალსაცავის შევსება საპროექტო 810 მეტრ ნიშნულამდე (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 17 მაისის № 390 დადგენილების შესაბამისად);

— 1994 წლის 1 სექტემბრამდე ყველა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიების განხორციელება ენერგოსისტემის არაუმცირეს 49 ჰერც სიხშირეზე მუშაობისათვის;

— სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან (მათ შორის მუნიციპალურ საწარმო „თბილწყალკანალის", პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის, კავშირგაბმულობის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის, მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელობასთან) სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების განმხოლოების შეთანხმებულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი დეპარტამენტ „საქენერგოს" მიერ გაცემული ტექნიკური პირობების შესაბამისად, აქედან გამომდინარე, მომავალში ტექნიკური პირობები გასცეს განმხოლოების გათვალისწინებით;

— ენერგეტიკული კრიზისის პირობებში ქვეყნისათვის სასიცოცხლო ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტთან ერთად წევის ქვესადგურების უწყვეტი ელექტრომომარაგების სქემებისა და გრაფიკების შემუშავება (ბზიფ-გუდაუთა, ბათუმ-ქობულეთი, ქუთაის-ტყიბული, ზესტაფონ-ხაშური, კაჭრეთ-გურჯაან-მარარო, მარაბდა-ახალქალაქი, უნდა იკვებებოდნენ მუდმივად);

— რკინიგზის წევის ქვესადგურების შეუფერხებელი გარე ელექტრომომარაგება რესპუბლიკის მასშტაბით. ამასთან, აღდგენილ იქნეს აბაშის, ნატანების, ლანჩხუთის, კოპიტნარის, ხრესილისა და თბილისის საკვანძოს გარე ელექტრომომარაგება (ვადა 1994 წლის 1 ოქტომბერი);

— დეპარტამენტ „საქენერგოს" დაქვემდებარებაში არსებული ელექტროქვესადგურების დაკომპლექტება კვალიფიციური პერსონალით სულ ცოტა ორი კაცისა ცვლაში (ვადა 1994 წლის 1 სექტემბერი);

— წევის ქვესადგურებიდან რკინიგზის გარეშე მომხმარებლებისათვის გამავალი ფიდერების განმხოლოებისათვის მათი ეტაპობრივი გადართვა ენერგოსისტემის სხვა ქვესადგურებზე. ამავე დროს წევის ქვესადგურებზე მიერთებული იმ გარეშე მომხმარებლების, რომელთაც აქვთ მეორე კვება, შეზღუდვის გრაფიკის განხორციელება მეორე კვებიდან. ხოლო კვება წევის ქვესადგურიდან მოხდეს მხოლოდ ავარიულ შემთხვევაში;

— სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტთან ერთად ოპერატიული სამუშაოს შეუფერხებლად შესრულების მიზნით წევის, სარაიონო ქვესადგურებსა და სადისპეტჩერო აპარატს შორის ავტონომიური კავშირების აღდგენა (ვადა 1994 წლის 1 სექტემბერი);

ჩაითვალოს 1994 წლისათვის განმხოლოების პირველ ეტაპად სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების საკუთარი ფიდერით კვება, ამასთანავე, გაგრძელდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ელექტროენერგიით და ენერგომატარებლებით კვების ცალკე ქვესადგურებსა და გამანაწილებელ პუნქტებში დაკომპლექტება;

— ქუთაისის, რუსთავის ელექტრონაგებობათა სამმართველოებთან ერთად გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელება დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების დადგენილი ტარიფების შესაბამისად ამოღების მიზნით;

— სასმელი წყლით მომარაგების სატუმბი სადგურების მკვებავ საკომუტაციო აპარატურაზე სიხშირის ავტონომიური რეგულირების მოხსნა;

— არაგვის ხეობის, ღრმაღელის, სამგორისა და წყალსადენის ყველა სათავე ნაგებობის სატუმბი სადგურებისათვის ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება;

— ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან და დეპარტამენტ „საქგაზთან" ერთად ყველა რაიონს, ქალაქს, საწარმოს (დამტკიცებული სიის მიხედვით) შეზღუდვის გრაფიკების შესაბამისი ელექტროენერგიის, სიმძლავრისა და მოხმარების ლიმიტების, ბუნებრივი გაზის მოხმარების ლიმიტების ოპერატიული დაწესება. ხოლო ყველა გამგებელმა, მერმა, საწარმოს ხელმძღვანელმა განუხრელად შეასრულოს იგი. ლიმიტები წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად ყოველი თვის 25 რიცხვამდე. შემდეგი თვისათვის ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ობიექტი გამორთულ იქნეს დამრღვევის პასუხისმგებლობით.

— გადამწყვეტი ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება ელექტროენერგიის ტრანსპორტზე და კომერციული დანაკარგების შესამცირებლად (ვადა — 1994 წლის 1 სექტემბერი და მუდმივად);

— სამშენებლო-საწარმოო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენთან" ერთად თბილსრესის მე-11 ენერგობლოკის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა მის საექსპლუატაციოდ გადასაცემად 1995 წელს;

— თბილსრესის მომზადება 800 მგვტ საანგარიშო-ეკონომიკურ სიმძლავრეზე ხანგრძლივად სამუშაოდ;

— სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების (წყალმომარაგება, პურკომბინატები, საავადმყოფოები, კავშირგაბმულობის კვანძები, ელექტროფიცირებული წევა) ავტონომიური კვების წყაროებითა და შესაბამისი სათბობით უზრუნველყოფის მკაცრი კონტროლი, აგრეთვე განმხოლოების შეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობა (ვადა — 1994 წლის 1 სექტემბერი).

— ენერგეტიკული მეურნეობისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობების, ხელსაწყოების დამზადების მიზნით რესპუბლიკის მრეწველობის გამოყენების შესაძლებლობის დადგენა.

6. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტს, დეპარტამენტ „საქენერგოს" რკინიგზის წევის, დეპარტამენტ „საქენერგოს" და ყველა სხვა უწყების ქვესადგურების, ელექტროსადგურების, გაზის მეურნეობისა და გაზსადენების, ნავთობის მეურნეობისა და ნავთობსადენების პერსონალის უსაფრთხოებისა და დაცვის, შეზღუდვის გრაფიკების (ანუ ენერგიის და ენერგომატარებლების მიწოდების გრაფიკების) აუცილებელი შესრულების მიზნით, იძულებითი ჩართვის მცდელობის, ქურდობა-დატაცებისა და დივერსიების, ფულის გამოძალვისა და ამ საკითხებით სპეკულაციის თავიდან აცილებისათვის სახელმწიფო დაცვის განხორციელება და ჩაითვალოს იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის, აუცილებლად შესასრულებელ საკითხად და გარანტირებულ იქნეს მისი შესრულება პირადი პასუხისმგებლობით.

7. სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა":

— წყლის რეგულირების, დაგეგმილი და ავარიული სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფისათვის მუნიციპალურ საწარმო „წყალკანალს" გამოუყოს ყოველთვიურად 30 ტონა დიზელის საწვავი და 20 ტონა ბენზინი;

— ენერგოობიექტებზე დაგეგმილი და ავარიული სამუშაოების შესასრულებლად დეპარტამენტ „საქენერგოს" გამოუყოს ყოველთვიურად 50 ტონა დიზელის საწვავი და 30 ტონა ბენზინი;

— უზრუნველყოს საწვავით დეპარტამენტ „საქგაზის" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 25 მაისის № 233/26 დავალების შესაბამისად მაგისტრალური გაზსადენების აღსადგენად და რემონტის ჩასატარებლად;

— უზრუნველყოს საწვავით ავტონომიური, ავარიული კვების წყაროებით აღჭურვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების შეკვეთით, გადახდისუნარიანობის შესაბამისად.

8. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ო. ბასილიამ და ი. მენაღარიშვილმა, ფინანსთა მინისტრმა (დ. იაკობიძემ), ეკონომიკის სამინისტრომ (თ. ჩიქვაიძემ), ვაჭრობის მინისტრმა (მ. ზანკალიანმა), სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარემ (დ. ზუბიტაშვილმა):

— უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარებით, სახელმწიფო და საზღვარგარეთული კრედიტით და კომერციული სტრუქტურების საშუალებით 120 ათასი ტონა სანათი ნავთის, 60 ათასი ტონა თხევადი გაზის, 300 ათასი ტონა მაზუთის, 30 ათასი ტონა საღუმელე სათბობის რესპუბლიკაში შემოტანა;

— წარმოადგინონ წინადადება ნავთსა და ქვანახშირზე მომუშავე კომბინირებული ქურების რესპუბლიკაში დამზადების, შემოტანისა და რეალიზაციის შესახებ.

9. დეპარტამენტმა „საქნახშირმა", რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ 100 000 ტონა ტყიბულის კონდიციური ქვანახშირის მიწოდება წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის.

10. დეპარტამენტმა „საქენერგომ" უზრუნველყოს მოლაპარაკება აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთისა და თურქეთის შესაბამის სტრუქტურებთან აღნიშნული ქვეყნების ენერგოსისტემების გაერთიანების თაობაზე ნულოვანი ან კომერციული გადადინებებით სათანადო კონტრაქტების გაფორმებით (ვადა 1994 წლის ივლის-აგვისტო).

11. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კონცერნმა უზრუნველყოს:

— № 6 პურის ქარხნის განმხოლოების სქემის შესრულება დეპარტამენტ „საქენერგოს" მიერ გაცემული ტექნიკური პირობების ბამისად (ვადა 1994 წლის 25 ივლისი);

— ნავთლუღის პურპროდუქტების კომპლექსის (№ 2 პურის ხანა, თბილისის პურკომბინატი, მაკარონის ფაბრიკა) განმხოლო და იმედიანი ენერგომომარაგების სქემის დამთავრება (ვადა 1994 1 ოქტომბერი);

— № 8 პურის ქარხნის განმხოლოების სქემის განხორციე (ვადა 1994 წლის 1 ოქტომბერი).

12. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა (მათ შორის მ ციპალურმა საწარმო „თბილწყალკანალმა", საქართველოს რეს ლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის ხელმწიფო კონცერნმა, კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ჯანმ ლობის დაცვის სამინისტრომ, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარ მენტმა, მეტროპოლიტენის სამმართველომ) უზრუნველყონ სასიც ხლო დანიშნულების ობიექტების განმხოლოების შეთანხმებულ ნისძიებათა განხორციელება.

13. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრ ველეობის მრეწველობის სახელმწიფო კონცერნმა, დეპარტამე „საქგაზმა" უზრუნველყონ № 7 და № 8 პურის ქარხნების ღუმე ბის სარეზერვო სათბობზე გადაყვანა. ამასთანავე, პურის ქარხ რომელთაც გაზი მიეწოდება დაბალი წნევის მილსადენებიდან, გა ვანილ იქნენ საშუალო წნევის გაზსადენებზე (ვადა 1994 წლის 1 ტომბერი).

14. დეპარტამენტმა „საქგაზმა" შეიმუშაოს და 1994 წლის 15 ლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა ბინეტს დასამტკიცებლად ბუნებრივი გაზის მოწოდების შეზღუდ პირობებში მომხმარებელთა შეზღუდვისა და გამორთვის გრაფი

15. დეპარტამენტმა „საქენერგომ", „საქგაზმა", „საქნავთობმა", ნახშირმა" და სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა" პირველ რიგში უზრუნველყონ მუნიციპალური საწარმო „თბილწყ კანალის", საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მ რინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის და აგრ ურთიერთმომარაგება ელექტროენერგიით, სათბობითა და ნავთ პროდუქტებით.

16. განისაზღვროს 1994 წლის 15 ივლისიდან 1995 წლის 1 ლამდე რესპუბლიკის მოსახლეობის ელექტრომომარაგება შეზღ ვის გრაფიკით, ხოლო დეპარტამენტმა „საქენერგომ" უზრუნველ ქსელების განმხოლოება აღნიშნული რეჟიმების განხორციელ ვის.

17. დაწესდეს 1994 წლის 1 სექტემბრიდან 1995 წლის 1 ლამდე სამუშაო საათების ხანგრძლივობა:

— თბილისის მეტროპოლიტენსა და ელექტროტრანსპორტს 7 საათიდან საღამოს 22 საათამდე;

— სავაჭრო კოოპერატივებს, კომერციულ მაღაზიებსა და ინ დუალური საქმიანობის ობიექტებს — 10 საათიდან 16 საათამდე;

— ერთცვლიანი გრაფიკით მომუშავე წარმოება-დაწესებულებ და მწარმოებელ კოოპერატორებს — 9 საათიდან 17 საათამდე;

— სახელმწიფო ვაჭრობის ობიექტებს (სასურსათოს გარდა) — საათიდან 17 საათამდე);

— სახელმწიფო, კომერციულ და საკაბელო ტელევიზიას — თანხმებული გრაფიკით.

18. აიკრძალოს 1994 წლის 1 ოქტომბრიდან 1995 წლის 1 ლამდე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გამოყენება:

— სახელმწიფო და ინდივიდუალურ სათბურებში — დასხივ და დათბუნების მიზნით;

— ინდივიდუალურ საქმიანობაში ობიექტებზე (თორნე, სამ და სხვა) — ტექნოლოგიურ პროცესში;

— ყველა სახელმწიფო და კომერციულ დაწესებულებასა და განიზაციაში — შენობის გათბობის მიზნით.

19. იმის გამო, რომ ბუნებრივი გაზის მოწოდება იწარმოებს მ რად შემცირებული მოცულობით, ქალაქებისა და რაიონების მ ლობამ მოამზადოს ზამთრის პერიოდში გათბობის მიზნით ქვან რისა და შეშის გამოსაყენებლად.

20. საქართველოს რესპუბლიკის რაიონების მმართველობის ლობრივმა ორგანოებმა, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა მ კონტროლის განხორციელებით დაამზადონ სანიტარული ჭრით ღებული შეშა მოსახლეობისათვის.

21. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს დე ტამენტ „საქნახშირისათვის" 1994 წლის განმავლობაში 10 ა კუბ. მეტრი სამაგრი ხე-ტყის დამზადება.

22. რუსთავის მეტალურგიულმა და ბათუმის ნავთობგადამამ ვებელმა ქარხნებმა 1994-95 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიო უზრუნველყონ თავის ბალანსზე რიცხული ბლოკსადგურების საწ მომარაგება და გამართული მუშაობა შესაბამისად — 50 და 12 კვტ საშუალო დატვირთვით.

23. ქუთაისის ავტოქარხანამ 1994 წლის 1 ივლისამდე უზრუნ ყოს საკუთარი თბოელექტროცენტრალის აღდგენისა და რეკონსტ ციის სამუშაოების დამთავრება საწვავად ქვანახშირის გამოყენ გათვალისწინებით.

24. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუ ლობის კორპორაციამ მიაწოდოს საზოგადოებრიობას ინფორ ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევ ღონისძიებათა შესრულ მსვლელობასა და ეფექტიანობაზე.

25. დღის სინათლის უკეთ გამოყენებისა და შესაბამისად — ქტროენერგიის ხარჯის შემცირების მიზნით განხილულ იქნეს ზ რის პერიოდში დროის წინ გადაწევის და ერთი საათით სამ დროის შემცირების ეფექტიანობა.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ობიექტების ზამთრის პერიო ფუნქციონირება უზრუნველყოს იმ რეგიონების ხელმძღვანელო რომელთა დაქვემდებარებაში ისინი იმყოფებიან.

26. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, ეკო კის სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყონ ამ დად ლებაში აღნიშნულ აუცილებელ ღონისძიებათა შესრულებისათვის ჭირო ფინანსირება დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ წარ ნილი დამადასტურებელი მასალების შესაბამისად.

27. ამ დადგენილების შესრულებისა და ეროვნული მეურნე 1994-95 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადების მივი კონტროლის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგე ბით:

ოთარ ფაცაცია — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინ რი, კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ კერვალიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის პრე მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ბოჭორიშვილი — დეპარტამენტ „საქნახშირის" დომარე;

მიხეილ გვიშიანი — მატერიალური რეზერვების დეპარტამ თავმჯდომარე;

დავით ელიაშვილი — დეპარტამენტ „საქგაზის" თავმჯდომარ

რომი ვაშაკიძე — სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის მჯდომარე;

მურთაზ ზანკალიანი — ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი;

დავით ზუბიტაშვილი — სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპრო ტის" თავმჯდომარე;

რევაზ თევზაძე — დეპარტამენტ „საქნავთობის თავმჯდომარე;

კონსტანტინე კაპანაძე — ქ. თბილისის ვიცე-მერი;

მამუკა მინდელი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა ნეტის მძიმე მრეწველობისა და ენერგეტიკის საკითხთა მთავარ ხელმწიფო მრჩეველი;

მერაბ მღებრიშვილი — ქ. თბილისის ვიცე-მერი;

ლეონიდე ჭიჭოძე — სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთ სახელმწიფო მრჩეველი;

იური ჰედია — დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარე;

ანალოგიური კომისიები შეიქმნას რესპუბლიკის რაიონებსა ლაქებში, გარდა თბილისის მერიისა.

კომისიამ ორ კვირაში ერთხელ (სხდომაზე) მოისმინოს სამი როების, უწყებების, ადგილობრივი მართვის ორგანოებისა და კეული წარმოება-დაწესებულებების ანგარიში ზამთრისათვის ბის მიმდინარეობის შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტ

28. ამ დადგენილების კონტროლი დაეკისროს საქართველოს პუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ზურაბ კერვალიშვ

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინი

ოთარ ფაცა

რას წერს დასავლეთის პრესა

„თავისუფლებამ" **„ინტერფაქსზე"** დაყრდნობით 10 ივლისს გაავრცელა ცნობა ოპოზიციის მიერ თბილისში მოწყობილი მიტინგის შესახებ.

7 ივლისს **„როიტერის"** მიერ გავრცელებულ მასალაში აღწერილია სოხუმში შექმნილი დრამატული ვითარება, სადაც ქართული მოსახლეობის გაძევების შემდეგ ბობოქრობს ბანდიტიზმი და უკანონობა. მოყვანილია „აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის" ზურაბ ხმირის სიტყვები: **„ასეთი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ჩვენ არ გვსურს გავხდეთ რომელიმე ქვეყნის ნაწილი. აფხაზეთი უნდა გახდეს დამოუკიდებელი".**

რადიო **„თავისუფლების"** ცნობით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ახლო მომავალში განიხილავს კავკასიის ქვეყნებისათვის დამატებითი დახმარების აღმოჩენის საკითხს. კერძოდ, საუბარია 50 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ საქართველოსათვის და 75 მილიონისა — სომხეთისათვის.

13 ივლისს ფრანგული **„ლე მონდი"** იტყობინებოდა კიევში **„ზ. გამსახურდიას მარჯვენა ხელის — ლოთი ქობალიას დაპატიმრების შესახებ".** ნათქვამია, რომ ლ. ქობალიას ბრალი ედება სამშობლოს ღალატში, ბანდიტური ჯგუფების შექმნასა და 1993 წლის ზაფხულში მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკებაში.

ევროკავშირი: პრესის ყურადღების ცენტრშია 15 ივლისს ბრიუსელში გამართული ევროკავშირის საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც ევროკომისიის ახალ პრეზიდენტად დაამტკიცეს ლუქსემბურგის პრემიერი ჟაკ სანტერი. ცნობილია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის სამმიტზე საბერძნეთში არ იქნა მიღწეული შეთანხმება, რადგან 11 ქვეყნის კანდიდატურას — ბელგიის პრემიერის ჟ. ლ. დეჰაენს — მხარი არ დაუჭირა დიდმა ბრიტანეთმა. ბატონ ჟ. სანტერს ახასიათებენ, როგორც ევროპული ინტეგრაციის ენთუზიასტს, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ წრეებში იგი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული თვისებებით. მაგალითად, გაზეთ **„ფაინენშლ ტაიმსს"** 14 ივლისს მოჰყავდა ევროპარლამენტის წევრთა შორის გამართული გამოკითხვის შედეგები: დეპუტატთა ყველაზე დიდი სიმპათიები ერგო ჟ-დელორს — 35%. იტალიის ყოფილ პრემიერს ჯ. ამატოს — 23%, ჟ. ლ. დეჰაენს — 15%, ხოლო ჟ. სანტერს — 6%.

მომავალ კვირას მოსალოდნელია ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება კავკასიის ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ყურადღება ეთმობოდა 14 ივლისს პარიზში საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ სამხედრო აღლუმს, რომელშიც (ევროკორპუსის შეიარაღებული ძალების რიგებში) ფრანგ, ბელგიელ, ესპანელ და ლუქსემბურგელ სამხედროებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანიის საჯარისო ნაწილები. ამგვარად, გერმანელი ჯარისკაცების ელისეს მინდვრებზე მარშით ხაზგასმით აღინიშნა ახალი ევროპის იდეის რეალიზაცია.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. გაზეთები განიხილავდნენ ვითარებას რუსეთში. საერთო ჯამში, მიმომხილველების აზრით, ამჟამად ქვეყანაში აღინიშნება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სიტუაციის მეტნაკლები გაუმჯობესება. კერძოდ, ნაკლები დაძაბულობაა მთავრობასა და პარლამენტს შორის, არის სტაბილიზაციის ნიშნები რეგიონულ დონეზე, გამოჯანსაღების სიმპტომებია ეკონომიკაშიც. ამავე დროს ყურადღება ექცევა კრიმინალური ორგანიზაციებისა და მაფიის პოზიციების გაძლიერებას.

საინტერესო სტატია გამოქვეყნდა 8 ივლისის **„ფაინენშლ ტაიმსში".** მასში აღნიშნულია, რომ დასავლეთის ნავთობის კომპანიები ინტერესს კარგავენ რუსეთის მიმართ, რისი მიზეზიცაა მაღალი ბეგარები, შეზღუდული საექსპორტო კვოტები, ბიუროკრატიული სისტემა და გაუთავებელი ბრძოლა რუსეთის ნავთობის მწარმოებლებს შორის. უკრაინასა და ბელორუსიაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ერთხმად იქნა შეფასებული, როგორც ახალი სლავური კავშირის იდეის რეანიმირება. ამავე დროს **„ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბიუნს"** 14 ივლისს მოჰყავდა ბატონი ლ. კუჩმას განცხადება იმის თაობაზე, რომ ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან არ უნდა მო სხვა ქვეყნებთან ურთიერ გაუარესების ხარჯზე. გავრ ბატონი კუჩმას სიტყვებ უკრაინის ხელმძღვანელობა მოაწერს ბირთვული გა ლებლობის შესახებ ხელ ლებას მხოლოდ მისი დეტ შესწავლის შემდეგ. ბატონ კამენკოს მიმომხილველები სიათებენ, როგორც გამო პოლიტიკოსს, რომლის კომ ნცია ეჭვებს იწვევს თვით კოვში.

ბენილუქსის ქვეყნებში
ევროკავშირთან საქარ
ლოს რესპუბლიკის
ჩოს პრესსამსახური
[illegible]

მერსი ბოკუ!

ფიქრები სულხან-საბა-ორბელიანსა და თომას კარლაილზე პარიზში, ბასტილიის მოედანზე...

ქართველი მწერლის ფრანგული ჩანაწერებიდან

I

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბატონმა ბერნარ ფასიემ პატივი დაგვდო და მიგვიწვია დიპლომატიურ მიღებაზე, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულს — 14 ივლისს — ბასტილიის აღების დღეს. მიღებამ მაღალ, ჭეშმარიტად ფრანგული დიპლომატიური კულტურის დონეზე ჩაიარა.

მიღებაზე იყვნენ საქართველოს ისტებლიშმენტის, პოლიტიკური და კულტურული ელიტის კოლორიტული წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თვალსაჩინო ფიგურები — ელჩები, კონსულები, დესპანები...

ფილოსოფოსი პლატონი ამბობს, რომ მიღება, სტუმართმოყვარეობა, სუფრის გაწყობა და გაძღოლა არის ხელოვნების დარგი და ხელოვნების ეს დარგი მან პოეზიის, მუსიკის, თეატრის, ფერწერის გვერდით მოიხსენია. ფრანგი ელჩი სწორედ ამ დონეზე, პლატონის „ფილოსოფიური ნადიმის" დონეზე შეხვდა სტუმრებს...

არ არის შემთხვევითი, რომ მსოფლიო მშვიდობაზე, სტუმართმოყვარეობაზე იმანუელ კანტმა მთელი ფილოსოფიური ტრაქტატი დაწერა.

ვსაუბრობდით ფრანგებთან გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილზე, რომელსაც სწორედ პარიზში უწოდეს „ქართველი სოკრატე" და რომელსაც მიაჩნდა, რომ ფრანგული ფილოსოფია ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ფილოსოფიაა მსოფლიოში.

გავიხსენეთ გალაკტიონი და ბოდლერი..

ვახსენეთ საპატიო აკადემიკოსი კალე სალია, რომელიც პარიზში სცემდა მსოფლიოში ცნობილ ქართველოლოგიურ ჟურნალს „ბედი ქართლისა"... გავიხსენეთ ფრანგული სოფელი ლევილი, ნოე ჟორდანია, წამებული წმინდანი და მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი, ქართული ემიგრაცია პარიზში... ამ თემებზე და ბევრ სხვა საკითხებზე ვსაუბრობდით ბატონ ფასიეს სტუმრები საფრანგეთის საელჩოს მიერ მოწყობილ მიღებაზე.

II

და მაინც ფიქრთა გამჭოლი თემა იყო მოგონება ბასტილიის მოედანზე...

1980 წელს ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად რიო დე ჟანეიროდან პარიზში ჩამოვფრინდი.

ქალაქში ერთ-ერთი გასეირნების დროს, ლუვრის შემდეგ, ბასტილიის მოედანზე ამოვჩნდით... ჩვენთან ერთად იყო საბჭოთა კავშირის ელჩი პარიზში...

მახსოვს ორიოდე ფრაზა დიალოგებიდან ბასტილიის მოედანზე.

მე ვთქვი: მსოფლიო ისტორია თავიდან არის დასაწერი, მაგრამ მისი დაწერა უპრიანი იქნება მას შემდეგ, რაც ყველა ხალხი დაამხობს თავის ბასტილიას.

ბატონმა ედუარდმა გაიღიმა და თქვა: ეს უსათუოდ მოხდება, ყველა ხალხი დაამხობს თავის ბასტილიას და ხელახლა დაწერს თავის ისტორიას...

ეს ფრაზა მან თქვა პარიზში, ბასტილიის მოედანზე, რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე თვითონ მიიღებდა მონაწილეობას „საბჭოთა იმპერიის — ბასტილიის" დანგრევაში.

ბასტილიის მოედანზე ნათქვამმა ახდომა იცის. ბასტილიის მოედანზე ადამიანი ქადაგი და წინასწარმეტყველია.

ყველა დემოკრატიული რევოლუცია მსოფლიოში, ასე, თუ ისე, საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის მემკვიდრეა.

მე ამას ვწერდი ბასტილიის მოედანზე გასეირნების შესახებ ჩემს წიგნში „პარიზში გაზაფხული იყო"...

ეს იყო 1980 წელს.

რა ჩქარა გარბიან წლები?!

როცა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პარიზში თქვა, ყველა ხალხი დაანგრევს თავის ბასტილიას, მას, რა თქმა უნდა, საქართველოს განთავისუფლების პერსპექტივა ჰქონდა მხედველობაში, ქართველი ერის ხსნა და თავისუფლება.

იმავე წელს, უფრო გვიან, რომში, ვატიკანის მუზეუმში ვნახე ლაოკოონის მსოფლიოში ცნობილი ქანდაკება. პარიზის შემდეგ, რომში, ვატიკანში, მომეჩვენა, რომ ჩემი ქვეყანა იმ დროს ბასტილიის ციხეში იჯდა და ლაოკოონის გველები ეხვეოდა. ჯერ შორს იყო, ძალიან შორს იყო „ქართული ბასტილიის" დანგრევის დღე! მასზე მხოლოდ ვოცნებობდით და თანაც ჩუმად. მაშინ ხმამაღლა ამაზე ლაპარაკი ბასტილიის მოედანზეც არ შეიძლებოდა.

III

ფრანგი ელჩის, ბატონ ფასიეს მიერ თბილისში მოწყობილ დიპლომატიურ მიღებაზე ვფიქრობდი: დღეს „რუსული ბასტილია" დანგრეულია საქართველოში, მაგრამ ხომ არ არსებობს „ქართული ბასტილიის" აშენების საშიშროება?! აი, ეს ყოველდღე უნდა ვკითხოთ ჩვენს თავს, თუ გვსურს თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო და ერი ვიყოთ!

იმ შორეულ, 1980 წელს, პარიზში, ბასტილიის მოედანზე ვფიქრობდი: ერების სიდიადე არა ბასტილიის აშენებაში, არამედ საკუთარი და სხვისი ბასტილიების დანგრევაშია.

როცა „ქართული ბასტილიის" აშენების საფრთხეზე ვფიქრობ, გოეთე მახსენდება: არ მიყვარს თავისუფლებისათვის თავზეხელაღებული, თავგანწირული მებრძოლები, — ამბობს ის, — რადგანაც თითქმის ყველა მათგანს სურს ძალაუფლება და ისიც მხოლოდ თავისთვის. ეს ერთი მხრივ. გოეთე გენიოსი ადამიანთმცოდნეა.

მეორე მხრივ, ნიცშე ამბობს: ბევრი მებრძოლი მლიქვნელობასაც კი კადრულობს მასზე ძლიერთა წინაშე, რათა ამ გზით მასზე სუსტებზე მოიპოვოს ძალაუფლება და იბატონოს.

IV

ტომას კარლაილმა დაწერა ბრწყინვალე წიგნი საფრანგეთის რევოლუციაზე. მე ის წიგნი არმაღანად მომიძღვნეს საფრანგეთის საელჩოში მიღების საღამოს.

ისტორია იგივე პოეზიაა, ოღონდ გადმოცემა უნდა შეგეძლოს, ბრძანებს კარლაილი.

ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ ის არის, რომ პოეტებს ისტორიკოსობას ვერ მოვთხოვთ, ხოლო ისტორიკოსებს — პოეტობას. თუმცა არისტოტელეს თუ დავუჯერებთ, პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია.

ასეა თუ ისე, თვითონ ტომას კარლაილი ბასტილიის აღების ისტორიას ისტორიულ-პოეტურ-ფილოსოფიურ ასპექტებში აღწერს. ეს არის სამსახეობა აზრის რაინდისა, ერთ სახეში განსახიერებული.

ბასტილიის ალყა კარლაილს ტროას ალყაზე უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად წარმოუდგენია.

ტომას კარლაილი უნებლიეთ ქართულ თემას ეხმაურება, როცა ბასტილიის ამღები **ფრანგი გმირები არგონავტებს** შეადარა.

მაგრამ აქ კარლაილი მიუტევებელ შეცდომას უშვებს: მორალურად არგონავტებზე მაღლა დგანან ბასტილიის ამღები გმირები, რადგანაც არგონავტები მტაცებლებად მოდიან ოქროს საწმისის კოლხეთში, ხოლო ბასტილიის ამღები გმირები ტირანიისაგან ათავისუფლებენ ფრანგ ხალხს და საბოლოო ანგარიშით კაცობრიობას.

დიდი განსხვავებაა მათ შორის. ეს დიდ კარლაილს არ უნდა გამოპარვოდა მხედველობიდან.

არგონავტების შეფასებაში ტომას კარლაილზე უფრო ობიექტურია და სწორია იმანუელ კანტი. ის მკაცრ მორალურ შეფასებას აძლევს არგონავტებს. მორალური კატეგორიული იმპერატივი თავის საქმეს აკეთებს.

მაგრამ მე მაინც მადლიერი ვარ ტომას კარლაილისა, რადგანაც ბასტილიის აღება მან ქართულ, კერძოდ კოლხურ-ელინურ სამყაროდან ამოწეულ მეტაფორულ მითოლოგემას დაუკავშირა.

V

ათასი საინტერესო ფიქრი აღმიძრა მიღებამ საფრანგეთის საელჩოში, რომელიც ასეთი დიპლომატიური ტაქტითა და არტისტიზმით ჩაატარეს ელჩმა, ბატონმა ფასიემ და მისმა მომხიბვლელმა მეუღლემ ქალბატონმა ფასიემ.

საფრანგეთის ელჩთან სტუმრობის საღამოს გამახსენდა ვერსალი და ბასტილიის მოედანი. თვალწინ წარმომიდგა სულხან საბას ელჩობა ევროპაში.

სულხან საბას, — თავის სიცოცხლეშივე საქართველოს სულიერ მამად წოდებულს, — ვატიკანში რომის პაპისგან და ვერსალში ლუდოვიკოსგან გაწბილებულს, და იმედგაცრუებულს, ვერც შეეძლო წარმოედგინა, რომ ოდესმე თბილისში საფრანგეთის საელჩო გაიხსნებოდა, ხოლო პარიზში — საქართველოს საელჩო.

არ ვიცი, ჰკიდია თუ არა პარიზში, საქართველოს საელჩოში სულხან-საბას სურათი. უნდა ეკიდოს.

მე პარიზშიც — ბასტილიის მოედანზე, რომშიც — ვატიკანშიც და გუშინ საქართველოში საფრანგეთის საელჩოში მიღებაზე — თვალწინ მედგა საქართველოსთვის წამებული რაინდი და წმინდანი, მწერალი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი.

იმედი მაქვს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის წარუმატებლობა არასოდეს გამეორდება საქართველო-საფრანგეთის თანამედროვე და მომავალ ურთიერთობებში.

VI

ბატონ ედუარდ შევარდნაძის საფრანგეთში საგულისხმო ვიზიტის შემდეგ დაისახა საქართველოსა და საფრანგეთის მრავალმხრივი ურთიერთობების ეროვნული და საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება.

205 წლის წინათ, 1789 წლის 14 ივლისს მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, დაემხო ტირანიისა და მონობის სიმბოლო — ბასტილია. ეს იყო რაბლეს, ვიქტორ ჰიუგოს, ონორე დე ბალზაკის, ვოლტერის, მონტესკიეს, სარტრისა და კამიუს სამშობლოს ტრიუმფი.

გმადლობთ, ბატონო ელჩო, ბერნარ ფასიე, ფრანგი ხალხის ეროვნული დღესასწაულის სითბო რომ გვაგრძნობინეთ, დემოკრატიისა და თავისუფლების მსოფლიო ზეიმზე რომ მიგვიწვიეთ. თქვენს დიპლომატიურ მიღებაზე მე თავი ვიგრძენი სხვა სამყაროში, ჰაიდეგერის мап-ს იქით, მე ვიგრძენი, ჟან პოლ სარტრისა არ იყოს, რომ ადამიანი განწირულია თავისუფლებისათვის.

საფრანგეთი არის დემოკრატიისა და თავისუფლების სიმბოლო მთელი კაცობრიობისათვის.

თქვენთან გატარებული საღამო, ბატონო ელჩო, ისევე ლამაზი იყო, როგორც როჟე დე ლილის „მარსელიოზა", როგორც ნოტრ დამის მწუხრის ზარები და ლოცვაში, ღვთისმშობელთან იესოზე საუბარი...

მერსი ბოკუ!

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

როგორ ვუშველოთ კახეთს?

მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მოეწყო შეხვედრა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე. შეხვედრას ესწრებოდნენ ახლადდაარსებული კახეთის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფიცხელაური, მისი მოადგილე ბესარიონ მაისურაძე, საზოგადოება „კახეთის" წევრები: მედეა მეზვრიშვილი, ლევან თედიაშვილი, ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

არც თუ დიდი ხანია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უშუალო ინიციატივითა და მხარდაჭერით დაარსდა კახეთის სამეცნიერო ცენტრი, რომლის მთავარი საზრუნავი ამ კუთხის გადარჩენასა და აღორძინებაზე ზრუნვაა.

ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა და ბატონმა ლევან თედიაშვილმა კახეთის გადარჩენისა და აღორძინების კონცეფციის შემუშავების საკითხი წამოჭრეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. ეშველება კახეთს, ეშველება საქართველოსაც, — ასეთი იყო ამ შეხვედრის ლაიტმოტივი.

ეკა ლეჟავა.

ახალი სოფელი —„სამრეკლო"

ჯავახეთის დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებაში არსებითი წვლილი უნდა შეიტანოს ახალმა სოფელმა, რომელიც საქართველოს რუკაზე გაჩნდა. ამ სოფელს, რომელიც „საქსოფლმშენპროექტის" პროექტით არქიტექტურულ სახელოსნოში შემუშავდა და რუსთავის მშენებლებმა და მეტალურგებმა ააშენეს, მათივე წინადადებით, სამრეკლო დაერქვა. გასაკვირი არ არის, რომ სოფლის პირველი ქუჩები და უბნებიც რუსთაველი მშენებელი მეტალურგების, ფოლადეურის სახელებს ატარებენ... რუსთავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ, სახლთსაშენებელმა კომბინატმა, სამშენებლო მასალათა კომბინატმა, სხვა საწარმოებმა საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი სახსრებითა და საკუთარი ძალებით ააგეს. ყველა შენობა კომპლექსურია, აქვს საკარმიდამო ნაკვეთები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ახლა სამრეკლოში ათასამდე კაცი ცხოვრობს. პერსპექტივაში, საბავშვო ბაგა-ბაღების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების აგების შემდეგ, აქ ხუთი ათასამდე კაცი იცხოვრებს.

სოფელში უკვე ჩავიდნენ პირველი დამსახლებლები — ქალაქ რუსთავის მშრომელები. საწარმოებმა, რომლებმაც მათ საგზურები გამოუყვეს, სატრანსპორტო მომსახურებაზე, სავაჭრო უზრუნველყოფასა და სამედიცინო მომსახურებაზეც იზრუნეს. მართალია, პრობლემაც ბევრია — კავშირგაბმულობის ცუდი მუშაობა, ნაკლოვანებანი ენერგოუზრუნველყოფასა და წყალმომარაგებაში, მაგრამ არის იმედიც, რომ ყველა ეს პრობლემა გადაიჭრება... ამის საწინდარია შეფობა, რომელსაც რუსთაველები უწევენ სოფელს.

დიპლომატია: მაინც თქმა სჯობს

კულუარები

2. არძინბა დერეფნებში ამაოდ დადიოდა

პეტრე ჩხეიძე იმ მიზეზებზე ლაპარაკობდა, რომელთა გამოც ჩაიშალა გაეროს სამშვიდობო აქცია აფხაზეთში.

თუ სწორად გავუგე, მისი მსჯელობა ასე წარიმართა:

აფხაზეთის პრობლემებზე ჟენევის მოლაპარაკების ციკლი მარტისთვის ნიუ-იორკში გადაიტანეს. თავისთავად ეს მოლაპარაკებაც საინტერესოდ წარიმართა. მაგრამ აფხაზეთის მხარემ აქ ისეთი მოთხოვნები წამოაყენა, რასაც ჩვენი დელეგაცია ვერც და არც დაეთანხმებოდა. გაწყდა ის პოზიტიური ხაზი, რომელიც წინა შეხვედრებისთვის იყო დამახასიათებელი. ეს რაუნდი ფაქტობრივად ჩაიშალა.

აი, ამ ფონზე უშიშროების საბჭოში მოხსენებას აკეთებს გაეროს გენერალური მდივანი. იგი დაასკვნის, რომ რახან პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების საკითხს უშიშროების საბჭოზე განსახილველად ვერ დააყენებს. თუმცა, არ გამორიცხავს, რომ დაუბრუნდება ამ საკითხს თუ მდგომარეობა შეიცვლება.

— მდგომარეობა არ შეიცვალა. — ყოველი დაკარგული დღე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ახალი უბედურების მომტანი იყო. თვით უმოქმედობა იქცა ტრაგედიად. ამიტომ მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სამშვიდობო ძალები შევიდნენ გალის რაიონში. შეაფასებდით ამ გადაწყვეტილებას?

— პირველად ამ საკითხზე ლაპარაკი გვქონდა სექტემბერში, როცა მივიღეთ დოკუმენტი ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძისა და ბატონ ანდრია კოზირევის ხელმოწერით. მინისტრები გაეროს სთხოვდნენ განეხილა საკითხი რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების შესახებ, რომელიც შემდეგ საერთაშორისო ოპერაციად გადაიქცეოდა.

გაეროში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელთან იური ვორონცოვთან ერთად დაუყოვნებლივ მივაკითხეთ გაეროს გენერალურ მდივანს ამ წინადადებით.

ბუტროს გალიმ, მისმა მოადგილეებმა შორს დაიჭირეს ეს შეთავაზება, რადგან, მათი აზრით, იგი ეწინააღმდეგებოდა დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც მეზობელი და დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობა ამგვარ აქციებში დაუშვებელია.

ამ უარს კი სექტემბრის ტრაგედია მოჰყვა, სოხუმის დაცემა, ათასობით დაღუპული, ათიათასობით ლტოლვილი...

საკმაოდ მწარე წერილი მივწერე გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს... იცით, რასაც მივწერდი. ბოლოს ვასკვნიდი, რომ თუ სასწრაფოდ არ გადახედავდნენ თავიანთ პოზიციას, კიდევ უფრო გაიზრდებოდა მათი შეცდომის ფასი.

არ დაგიმალავთ, რომ ამ წერილმა გაეროს სამდივნოს ხელმძღვანელობაზე დიდად იმოქმედა, თავის მართლებასაც შეეცადნენ. გენერალურმა მდივანმა კონკრეტული დავალებები მისცა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, წარმომადგენელთა შორისაც ჩვენდამი კეთილგანწყობა ჭარბობდა, მაგრამ შედეგი — რეზოლუცია — ამას არ მოჰყვა...

მაისში ამავე საკითხზე სასაუბროდ შევხვდი რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების მოადგილეებს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მათ საკმაოდ რეალური, პრაქტიკული და ჩვენთვის სასარგებლო მითითებები ჰქონდათ მიღებული.

ერთად და ცალ-ცალკეც ბევრი ვიმუშავეთ გაეროს ხელმძღვანელობასთან, და, ვგონებ, გაერომ ბოლოს და ბოლოს რომ სცნო კონფლიქტის ზონაში თავისი ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანა, ჩვენი წარმომადგენლობის წვლილიც არის.

ახლა მთავარია, ეს ოპერაცია ჩატარდეს ობიექტურად, იმ ამოცანის შესაბამისად, რომელიც მას აკისრია — გაფართოვდეს და მთელი აფხაზეთი მოიცვას, თანდათან, ეტაპობრივად. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

— ერთი „შეკითხვა კულისებიდან" ერთი ფაქტის გამო: გაეროს ოფიციალური ხელისუფალნი, ალბათ, არ იყვნენ ჩარეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაშინ, როცა საქართველოს საკითხს განიხილავდნენ უშიშროების საბჭოს სპეციალურ სხდომაზე, როცა სიტყვით გამოდის ბატონი ედუარდ შევარდნაძე, იქვე დერეფნებში დადის არძინბა და პრესკონფერენციასაც აწყობს. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? თქვენ გათვითცნობიერებული ხართ რა წესიც არსებობს „ბერნარდა ალბას სახლში", მაგრამ მართლა ყველასთვის ღია ხომ არ არის მისი კარი? ვიღაცამ ხომ შეუშვა, ნება დართო...

— სამწუხაროდ, ისევე, როგორც ჩვენთან... — **დაიწყო პასუხი ბატონმა პეტრემ და უცებვე მაგალითზე გადავიდა, უკეთ რომ გამეგო, ალბათ, იმიტომ** — გუშინწინ ბატონი ბრუნერი * ჩამოვიდა თბილისში. შეხვედრებზე, რომლებიც მასთან გაიმართა, ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლებზეც ერთი წელიწადია დღე და ღამ ვმუშაობ. არავის გაახსენდა ჩემი მიწვევა, იმიტომ კი არა, რომ არ უნდოდათ, — არ გაახსენდათ...

ის ფაქტი, რომელზეც შემეკითხეთ, ამ რიგისაა, საგანგებოდ არავის გაუკეთებია.

ასე მოკლა ზურაბ ჩხეიძემ ერთი პასუხით ორი კურდღელი. მაგრამ საჩემოდ მოკლულით მაინცა და მაინც კმაყოფილი ვერ დავრჩი, ამიტომ ჩავეძიე და მიპასუხა:

— მე ოფიციალურადაც დავაყენე საკითხი, რომ არ უნდა დავეთანხმებულიყავით ჟენევის მოლაპარაკების ნიუ-იორკში გადატანას. თუმცა ამას დადებითი მომენტიც ახლდა, რადგან აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ ყველა დაინტერესებულს. მაგრამ ითვლება, რომ ჟენევაში, ევროპაში ტრადიციისამებრ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებსა და კონფლიქტებზე და არა ორ ქვეყანას შორის. გაეროს შენობაში კი შედის ორი ქვეყანა თავიანთი კონფლიქტებით. ჩემი აზრით, ჩვენ არ უნდა დავეთანხმებოდით გაეროში მოლაპარაკების გადატანას.

— არძინბა ჩვენი თანხმობით ჩავიდა?

— არა. ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, მაგრამ ნიუ-იორკში ჩასვლის უფლება როგორც ყველას, მასაც ჰქონდა. გაეროში მიიწვიეს ჩვენი და აფხაზეთის დელეგაციები. იგი თავის დელეგაციას წამოჰყვა... ამიტომ ვამბობ, რომ არ უნდა მისცე საშუალება გამოიყენოს უფრო მაღალი ტრიბუნა. მით უფრო, რომ ისინი ამ მიმართულებით ჩვენზე გაცილებით აქტიურად მუშაობენ, ყველაფერზე რეაგირებენ, თანაც დაუყოვნებლივ: ჩვენ რაღაცას ვიტყვით და არძინბას უკვე წერილი აქვს გამოგზავნილი გაეროში — საპროტესტო, საწინააღმდეგო.

მისი ასეთი „სწრაფი რეაგირებისა" თუ პროპაგანდისტული ჯგუფები მუშაობენ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

არძინბას გაეროში ჩამოსვლაც ამ რიგისაა. არ უნდა გამოვრიცხოთ შემთხვევით დამთხვევის ფაქტორიც და, ალბათ, ერთგვარი უხერხულობაც, რაც გაეროში ჩვენს სასარგებლოდ დაგეგმილ ღონისძიებებს დაჰყვა. ხდება ხოლმე ასე — კეთილ განზრახვას რაღაც ჩრდილი აედევნება ხოლმე. მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს — კეთილგანწყობილებას.

ისიც უნდა გითხრათ, რომ არავისთვის იქ მუდმივი საშვი არ მიუციათ, მიჰყავდათ მხოლოდ იქ, სადაც დაუწესეს და — არსად სხვაგან.

გაეროში კი პრესკონფერენციის გამართვას რა უნდა — იქ ყოველთვის უამრავი ჟურნალისტი ტრიალებს, მრრიგეობს, თქვი ორი სიტყვა და თვითონ დაგესევიან.

ვთქვა, რომ მის პრესკონფერენციას რაიმე შედეგი მოჰყვა, არ ვიქნები სწორი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თხუთმეტამდე ელჩმა დამირეკა და მაცნობა, რომ აფხაზებს მოსვლა უნდათო, რჩევა მკითხეს.

რახან რჩევა მთხოვეს, ვუთხარი, აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და დანარჩენი თქვენ გადაწყვიტეთ-მეთქი. რამდენიმეს კი ვთხოვე მიეღო. მიიღეს კიდეც — საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის ელჩებმა. ესაუბრნენ და განუცხადეს — ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ და პოლიტიკურ მთლიანობას და. ჩვენი პოზიცია უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში არის ჩამოყალიბებული.

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ წლევანდელი მარტ-აპრილიდან, ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ სეპარატისტების სასარგებლოდ, რაც ადრე არ შეინიშნებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოს მეგობრების ჯგუფს და უშიშროების საბჭოში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს.

ბატონმა პეტრემ იმაზეც ილაპარაკა, თუ როგორი აკრძალული ხერხებით თამაშობდნენ ჩვენს წინააღმდეგ სეპარატისტები. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგში თითქოს გაიხსნა გაეროს წარმომადგენლობა, სადაც ჩვენს საკითხებს არჩევენ, თითქოს აფხაზეთის წარმომადგენლობაა ნიუ-იორკში.

პეტრე ჩხეიძის წერილის საფუძველზე გენერალურმა მდივანმა აკრძალა ასეთი თვითმოქმედება.

ნიუ-იორკში აქტიურობს აფხაზების 12-კაციანი ჯგუფი. ისინი ყოველ დღე ყველა ქვეყნის წარმომადგენლობაში შეზავნიან წერილებს. კიდევ კარგი, რომ ჩვენებს იქ საკმაოდ დინამიკური ურთიერთობა აქვთ კოლეგებთან, — ურეკავენ, ატყობინებენ. ბოლოს და ბოლოს ან მომაბეზრებელი ბუზის ეფექტი ამოქმედდება ხოლმე, ან თავიდანვე არ აქცევენ ყურადღებას. ისიც არის, რომ ჩვენების პოზიცია — თუ აფხაზებს რამე უჭირთ, ჩვენ მოვუგვარებთ, რადგან საქართველოს ერთი წარმომადგენლობა აქვს გაეროში — ყველასთვის მისაღებია. მაგრამ შეუფასებლობა სეპარატისტთა „რწმუნებულების" საქმიანობისა, ცხადია, არ ეგების. ამას გვიკარნახებს პრაქტიკული დიპლომატია.

იმავე პრაქტიკულ დიპლომატიას კონკრეტული პასუხები აინტერესებს: აფხაზეთიდან ატორიალებულ, კაცმა არ იცის, ვის მიერ დაფინანსებულ ჯგუფებს, ვისით ვუპირისპირდებით? აქამდე ვაშინგტონში იყო ერთი და გაეროს წარმომადგენლობაში, ნიუ იორკში 2 დიპლომატი, და პეტრე ჩხეიძე — იქაც და აქაც. ამ რამდენიმე კაცის შესრულებულ სამუშაოზე მიახლოებითი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, გაცნობებთ, — ერთი წლის განმავლობაში 800-ზე მეტი მარტო წერილი და ინფორმაცია აქვთ გამოგზავნილი — მოპოვებული, დამუშავებული, გაანალიზებული. ეს კი მათი საქმიანობის მხოლოდ მცირე შემადგენელია.

ღმერთმა დამიფაროს პარალელებისაგან, მაგრამ იმ ომში სეპარატისტები ფულს და იარაღს შოულობდნენ, ჩვენ — გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა. ახლაც არანაკლებ გვიჭირს. აფხაზი სეპარატისტები ისევ შოულობენ ფულს, თავიანთი არაკანონიერი „დიპლომატიის" დასაფინანსებლად.

ახლა ცოტა ამოისუნთქეს ჩვენმა ამერიკელებმა, ახალი თანამშრომლები შეემატებიან.

ამერიკაში ედუარდ შევარდნაძის ფენომენზეც ბევრი ვისაუბრეთ. მის გამოა, რომ ჩვენც პატივს გვცემენო. თქვა პეტრე ჩხეიძემ.

— ამის ექო თბილისშიც იყო. შეერთებული შტატების ელჩთან ბატონ კენტ ბრაუნთან სტუმრობისას მე და სტარჩევიჩი (გაეროს წარმომადგენელი საქართველოში. — ა. ს.) შემოვრჩით საუბარს და, იცით, ბოლოს რა მითხრა? ამ სიტუაციას რატომ არ იყენებთო? მაქსიმალურად უნდა გაათამაშოთო ეს კარტი.

ხომ მართალია?

თუ შენზე მეტის გვერდით ზიხარ, ისწავლე მისი მეტობისგან. განა შეიძლება ამ პირობის გამოუყენებლობა?

ბევრი პარტიის ბევრ წარმომადგენელს ვიცნობ და მიხარია, რომ შეუდარებლად გაიზარდნენ პოლიტიკურად. მაგრამ სწავლის პროცესს არა აქვს დასასრული და ის მიკვირს, რატომ არ ეწაფებიან იმ წყაროს, რომელიც სხვისთვის მიუწვდომელია?

ოპოზიცია იმისთვის არის საჭირო, რომ საკუთარი თავისადმი კრიტიკულად განაწყოს. მაგრამ ვითომ არ არის ოპოზიციის საქმე პოზიტიური შედეგების მიღწევა? მუდმივ კრიზში დგომას სხვა სახელი ჰქვია.

ხელისუფლების დამხობა-გადაყენებაზე გაუთავებელი ლაპარაკი ჩვენთან საერთაშორისო ასპარეზზე, ცოტა არ იყოს, ბანანის რესპუბლიკის სახელს გვიმკვიდრებს.

სტაბილიზაციის ნიშნები გაჩნდა თუ არა საქართველოში, უცებვე დაინტერესდნენ ჩვენით: ერთი 400-მილიონიანი პროექტი ჩამოვიტანე — საქართველოში ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის შესახებ, მეორე — 150 მილიონიანი — კომუნიკაციების გაყვანის შესახებ. არის სხვა პროექტებიც. მათ უკან დგას ისეთი უზარმაზარი ფირმა, როგორიც არის „სიტი ბანკი".

მსოფლიო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაზე ჩვენ ზემოქმედებას ვერ ვახდენთ და არც უნდა მოვახდინოთ, ჩვენისთანა პატარა ქვეყანამ, რომელშიც წესრიგი არ არის.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე (საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროსაც კი) ხაზს უსვამდა იმას, რომ საელჩოებმა აქტიურად უნდა იმუშაონ ეკონომიკურ საკითხებზე.

დღეს მისი ეს მითითება განსაკუთრებით აქტუალურია და გაეროში ამ მიმართულებით ვიმუშავებთ, ოღონდ ზურგს უნდა გვიმაგრებდეს ქვეყანა, რომელშიც შეუფერხებლად ხორციელდება ეკონომიკური რეფორმა, პრივატიზაცია.

ამის ყველა პირობა არსებობს.

არმაზ სანებლიძე.

---

* **დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 127.**

* **ედუარდ ბრუნერი — გაეროს წარმომადგენელი ჟენევაში ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე.**

„სვეტი ნათლისა"— საჩუქრად კურსდამთავრებულებს

„სვეტი ნათლისა"—ასე ჰქვია ქ. თბილისის 161-ე, საშუალო სკოლის სპეციალურ გაზეთს, რომელიც 1994 წ. ივნისში, ბოლო ზარის წინ დაიბეჭდა სტამბურად.

ნომერი წლევანდელ კურსდამთავრებულებს მიეძღვნა. დაბეჭდილია სასკოლო ცხოვრების ამსახველი წერილები, რომლებიც ახალგაზრდებს სამუდამოდ დაამახსოვრებს აქ გატარებულ წლებს.

„თქვენ ერთ-ერთ პირველებს განგიზრახავთ სტამბური წესით გაზეთის გამოშვება, არადა, დღეს ბეჭდვის ისეთი სიძნელეებია, ლამის ოფიციალური გაზეთები გამოვიდნენ ხელნაწერის სახით" — წერს გაზეთის პირველ გვერდზე განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე.

კურსდამთავრებულებს დიდი ცხოვრების გზას ულოცავენ მეცნიერი პედაგოგი გია მურღულია, მწერალი თენგიზ ჩალაური, სკოლის დირექტორი ჯუმბერ ცერცვაძე.

ეს გაზეთი კურსდამთავრებულთათვის კარგი საჩუქარია, მადლობა ეკუთვნით სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და მის ხელმძღვანელობას.

მზია გელენავა.

ბულატ ოკუჯავას 70 წლისთავის აღსანიშნავად

მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, მოეწყო შეხვედრა ცნობილ პოეტთან ბულატ ოკუჯავასთან, რომელიც ამ დღეებში 70 წლისა შესრულდა. საიუბილეო საღამოზე მოწვეული იყვნენ ქართული და რუსული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვალერიან ადვაძე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი ვალერი ასათიანი, რომელმაც იუბილარს გადასცა ქართველი ინტელიგენციის მილოცვის ტექსტი და საქართველოს მთავრობის სახელით ქართველი მხატვრის გია ბუღაძის ფერწერული ნამუშევარი.

საიუბილეო საღამოზე პოეტმა ბულატ ოკუჯავამ გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს დელეგაციის წევრებსა და შეკრებილთ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

[illegible]
eurobank
[illegible]
კომერციული ბანკი

„ევრობანკი"

აგრძელებს სავალუტო ანაბრების მიღებას აშშ დოლარებში შემდეგი პირობებით:

✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 5%.
✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის სამი თვის შემდეგ გატანით — თვეში 7%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 6%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ექვსი თვის შემდეგ გატანით — თვეში 8%.

იურიდიულ და კერძო პირებს ბანკი გთავაზობთ ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებას. ერთობლივი ბანკის სოლიდური საწესდებო კაპიტალი თქვენი ანაბრების საიმედო გარანტიაა.

ჩვენი მისამართია:
კ. გამსახურდიას გამზ. 25.
ტელ: 22-16-07, 22-04-11, 37-42-17.

საქართველოს რესპუბლიკის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს
თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის აეროფოტოგეოდეზიის, საინჟინრო გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სპეციალობებზე.

მიღება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე.
I კურსზე მიიღებიან არასრული, ხოლო II კურსზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.
სწავლის ვადა შესაბამისად 3,8 და 2,8 წელია.
შემსვლელები გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).
საბუთების მიღება — 31 აგვისტომდე.
სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.
მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, მსურველები — საერთო ბინით.

ტექნიკუმში ფუნქციონირებს სამხედრო განყოფილება. მოსწავლეები თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ თადარიგის ოფიცრის წოდება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის,
მოგვმართეთ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 25,
ტელ: 22-30-33.

ტექნიკუმის დირექცია

თბილისის ხელოვნების ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის, შემდეგ ფაკულტეტებზე:
1. მუსიკალური განყოფილება: ა) საფორტეპიანო, ბ) ვოკალური, გ) ტელე-რადიო მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორი;
2. სახვითი განყოფილება — მხატვარ-დეკორატორი;
3. თეატრალური განყოფილება — ტელე-სარეჟისორო ფაკულტეტი;
4. ქორეოგრაფიული განყოფილება — თანამედროვე ცეკვები — ჯაზ-ბალეტი.

საბუთები მიიღება 11. 07-დან 5. 08-მდე კვირის გარდა.

ჩვენი მისამართია:
დ. აღმაშენებლის 68.
ტელ: 96-60-71, 95-32-81.

გთავაზობთ
უნაღდო
ანგარიშსწორებით

[illegible] ქსეროქსის, პრინტერის, ცარცს, [illegible] ბლანკების [illegible], ნებისმიერი ფორმატის [illegible]

ტელ: 38-91-64

[illegible]
ვაწარმოებთ ბინებისა და ოფისების ხარისხიან რემონტს უმოკლეს ვადებში.
[illegible]
ტელ: 37-25-15

ინფორმაცია

„[illegible]" [illegible]

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაიწყო სპეციალური პროგრამის რეალიზაცია მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების დარგში. პროგრამა გულისხმობს ჰუმანიტარული დახმარების ხაზით რესპუბლიკაში შემოსული მედიკამენტების გაცემას იმ ავადმყოფებზე, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებენ და მკურნალობას გადიან ამბულატორიულად, პოლიკლინიკებში.

გამოყოფილია 12 სპეციალიზებული აფთიაქი, რომლებშიც, ძირითადად, მოსახლეობის დაუცველ ფენებზე გაიცემა პრეპარატები სპეციალური ნიმუშის უფასო რეცეპტით. რეცეპტი გაიცემა რაიონულ პოლიკლინიკებში.

ავადმყოფის გამოკვლევის შემდეგ, მედიკამენტების გაცემა მოხდება რაიონების მიხედვით შემდეგი აფთიაქებიდან: კრწანისის რ-ნი — № 17 აფთიაქი, სამგორის რ-ნი — № 80, ნაძალადევის რ-ნი — № 18, მთაწმინდის რ-ნი — № 89, საბურთალოს რ-ნი — № 83, ჩუღურეთის რ-ნი — № 4, გლდანის რ-ნი — № 73, დიდუბის რ-ნი № 18, ვაკის რ-ნი — № 27 და № 45, ისნის რ-ნი — № 48, აგრეთვე წყნეთისა და რუსთავის აფთიაქებიდან.

ექიმის მიერ გაცემული სპეციალური რეცეპტით გარანტირებულია მედიკამენტის მითითებული რაოდენობის მიღება. ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის ქ. თბილისის სამმართველო. რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ ზემოაღნიშნულ სამმართველოს ტელეფონებით: 87-79-80, 33-42-22.

კურორტზე... კუპონით სავსე ტომრით

— ბორჯომის ხეობის კურორტებს შორის დღეისათვის ყველაზე დაბალფასიანი საგზური სოფელ პანსიონატ „კეჩხობში" შეგიძლიათ შეიძინოთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „კეჩხობის" დირექტორმა, წარსულში ცნობილმა მოთხილამურემ ელგუჯა თრჯონიკიძემ. — 24-დღიანი ერთი საგზური 96 მილიონი კუპონი ღირს. ეს საბაზრო ფასების პირობებში ძვირი არ არის. პროდუქტებს ბაზარზე ვყიდულობთ, უკვე მივიღეთ 50-მდე დამსვენებელი, ამ დღეებში სხვებსაც ველით.

— ჩვენთან 24-დღიანი ერთი საგზური 125 მილიონი კუპონია, მაგრამ ამით ხარჯებს ვერ ვფარავთ და საგზურის ფასი მოიმატებს, — გვეუბნება სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" მთავარი ექიმი პეტრე იოსელიანი. — ამჟამად თავისუფალი ადგილები არა გვაქვს, სანატორიუმი მთლიანად შევსებულია. საგზურის ფასების ზრდა ბაზრის ფასებზეა დამოკიდებული და ამიტომ მყარი არ არის.

— აგვისტოდან ერთი საგზურის ფასი 150 მილიონ კუპონს გადააჭარბებს, — გვითხრა სანატორიუმ „ფიროსმანის" მთავარმა ექიმმა ნარგიზა შალიბაშვილმა. — მეუხერხულება ამ ციფრის დასახელება, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

ჩვენის მხრივ გვსურს ვკითხოთ კუპონის განმტკიცებისათვის მებრძოლ ეკონომისტებს: რამდენი წლიწადი უნდა იმუშაოს ინჟინერმა, ექიმმა თუ მასწავლებელმა, რომ სანატორიუმ „ფიროსმანის" საგზური შეიძინოს? პასუხის მოლოდინში კურორტი გიწვევთ... კუპონით სავსე ტომრით.

რეზო ფიცხელაური.

ხანძარი ყორესის ქუჩაზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 18 ივლისს, 01 საათზე, ყორესის ქუჩაზე მდებარე ნომერი 8 ავტობუსების ავტოსაწარმოს ფარეხში დაუდგენელი მიზეზის გამო გაჩნდა ხანძარი, რის შედეგად დაიწვა და მწყობრიდან გამოვიდა „იკარუსის" მარკის 11 სამარშრუტო ავტობუსი.

ხანძარი ჩააქრეს, ზარალი დგინდება.

ვაგონები რელსიდან გადავიდა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 19 ივლისს, 07 საათზე, სადგურ თბილისი-საკვანძოს ტერიტორიაზე ლიანდაგს ასცდა 6 ცარიელი სატვირთო ვაგონი.

მოძრაობა შეჩერებულია.

ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა ნავთობპროდუქტებით მომარაგება გახდა. ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ოთარ ხუციშვილის წერილი „ბენზინს ცეცხლი ვინ წაუკიდა". მასში აღძრულ პრობლემებზე საუბრის გაგრძელების მიზნით, ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა თბილისის კომერციულ საშუამავლო საწარმოს (თბილისის ნავთობბაზის) დირექტორს ანზორ ჯაფარიძეს და რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვა მას.

დაბრკოლებები რომ არა...

ინტერვიუ

— ბატონო ანზორ, თავად დასახელება კომერცია იმას მიგვანიშნებს, რომ თქვენი ორგანიზაცია მომწოდებლებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას დამოუკიდებელი უნდა იყოს. რამდენად შესაძლებელია ეს და არის თუ არა ასეთი ურთიერთობები ხელსაყრელი საქართველოს მოსახლეობისთვის?

— კომერციამ ჩვენს ორგანიზაციას მართლაც ხელფეხი გაუხსნა. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ ჩემი მუშაობის სამი თვის მანძილზე მომწოდებლებთან 275 ხელშეკრულება და წინადადება გვაქვს განხილული. პირდაპირი კონტაქტები გვაქვს რუსეთის სხვადასხვა ქალაქთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. საქმიანი მიდგომის გარდა, ადამიანური დამოკიდებულება და ძველი ნაცნობობაც გვეხმარება. ამბიციურობაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ მე ამ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს — რიგითით დავიწყე და დირექტორის თანამდებობამდე მივაღწიე. ამდენად, მიადვილდება კოლექტივთან მუშაობა, ვისზეც ბევრ იმედებს ვამყარებ... რომ გითხრათ ყველაფერი კარგად არისო, არ დამიჯერებთ. არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა ნავთობპროდუქტების ცენტრალიზებულ შემოზიდვასა და მომხმარებლისთვის მიწოდების მხრივ. მაგრამ ჩვენცა გვაქვს ობიექტური მიზეზები და... პრეტენზიები. როცა „ნავთობბაზა" ჩავიბარე, იგი მთლიანად დანგრეული და ტექნიკურად გაუმართავი იყო, უფრო მეტიც, გაძარცვული გახლდათ... იმასაც გეტყვით, საკანონმდებლო ბაზა (საფუძველი) დღემდე არ გაგვაჩნია, რაც ხელს გვიშლის წესრიგის დამყარებაში, გზებსა და გზაჯვარედინებზე გვირთულებს მუშაობას. უფრო მეტიც, ვერ ვახერხებთ ურთიერთშეთანხმებათა და ვალდებულებათა დროულ უზრუნველყოფას. ეს კი იწვევს ქვეყანაში ნავთობპროდუქტების არარეგულარულ შემოზიდვას. ამის გამო იქმნება ხელოვნური დეფიციტი და შედეგიც არ აყოვნებს. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება საქმე კიდევ უფრო გართულდეს. მართალია, თითქოს ყინული დაიძრა, მაგრამ ის, რაც მოსახლეობისთვის ნავთობპროდუქტების მიყიდვის საქმეში ხდება, ჩემში უკმარისობის გრძნობას ბადებს.

მაწუხებს ჩემი ხალხის ბედი და მინდა მთელი შესაძლებლობით შევეშველო საქმეს, თუმცა, ერთი კოლექტივისა და ერთი კაცის მცდელობა ქვეყანას ჩიხიდან ვერ გამოიყვანს. ყველამ ერთად უნდა გავითავისოთ ქვეყნის ბედი და ადამიანების გასაჭირი.

— ბატონო ანზორ, ფინანსური მდგომარეობა როგორი გაქვთ?

— ზემოთ უკვე ვთქვი. ჩავიბარე ნოლამდე დასული და გაპარტახებული მეურნეობა. მოსვლის დღიდან შევეცადე მომეზიდა ძველი და ძლიერი სპეციალისტები, რომლებთან ერთად შევუდექი საქმეს. პირველ რიგში ნავთობბაზის აღჭურვას. ამჟამად ეკონომიკური მაჩვენებელიც ნელ-ნელა სწორდება. ცუდია კუპონით ანგარიშსწორების საქმეს საშველი რომ არ დაადგა. სახელმწიფო ბანკები ჯერჯერობით ვერ არეგულირებენ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს გვიშლის, საოცრად დიდი დრო, ენერგია და ცოდნა გვჭირდება, რომ მომწოდებლებთან პირი არ შევირცხვინოთ.

— მომწოდებლებს თანხას წინასწარ უხდით?

— არა, ეს საქმე ჩვენს სასიკეთოდ გვაქვს გადაწყვეტილი. ანგარიშსწორება ხდება რეალიზაციის შემდეგ. ოღონდ ერთია, თუკი საქმეს ეშველა და საბანკო სისტემაც შესაბამისად ამოქმედდა, ჩემი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, დიდი სურვილია ქვეყნის თუნდაც სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებებს ნავთობპროდუქტები გადარიცხვით მივაწოდოთ. ამ მიმართებით ვმუშაობთ კიდეც. თუ ეს შევძელი, ვიტყვი, რომ დიდი საქმე გაკეთდა.

— რომ გკითხოთ ერთი ლიტრი ბენზინი რა გიჯდებათ, ალბათ არ მიპასუხებთ?

— სიამოვნებით გიპასუხებთ. მაგრამ ბენზინის შემოზიდვის ხარჯები ყოველდღიურად იზრდება და კონკრეტული ციფრის დასახელება შეუძლებელი ხდება.

— ყველაფერი ეს კი საბოლოოდ რიგითი მოქალაქის კისერზე გადადის. იქნებ რაიმე საგულისხმო და იმედიანი გვითხრათ?

— საიმედო ის იქნება, რომ ქვეყანაში მოწესრიგდეს ვითარება, შეიქმნას სამართლიანი, მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, მოიხსნას ბარიერები და მწვანე შუქი მიეცეს საბაზრო ურთიერთობებს, ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში პირადად ვერავის დავპირდები მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას. ეს კი უპირველესად პოლიტიკოსების საქმეა, თუმცა პოლიტიკაზე არც საუბარი მინდა და არც პოლიტიკოსობაზე დავდებ თავს. ერთიც მინდა ვთქვა: ქართველ კაცს მხოლოდ საკუთარი ღირსების შეგრძნება, შრომა გადაარჩენს. ქართველები შრომას გადავეჩვიეთ და ახლა ერთბაშად გვიჭირს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, რომელსაც თავისი შეუქცევადი კანონები აქვს.

— ერთიც უნდა გკითხოთ — თქვენს გარდა ნავთობპროდუქტები კერძო სტრუქტურებსაც ხომ შემოაქვთ?

— დიახ, არაერთ. კერძო სტრუქტურას შემოაქვს რესპუბლიკაში ბენზინი. ამან ნორმალურ ვითარებაში, ნორმალურ ქვეყანაში უნდა არეგულიროს ფასები. სამწუხაროდ, ჩვენთან პირიქით ხდება. თითოეული ადამიანის, მოქალაქის ვალია საკუთარი ხალხის, ქვეყნის საკეთილდღეოდ ილვაწოს.

— ამბობენ, რომ საქართველოდან კვლავაც დიდძალი ნავთობპროდუქტი გადის სომხეთში...

— იმის მიუხედავად, რომ კონცერნ „საქნავთობის" ხელმძღვანელობა დიდ დახმარებას გვიწევს სახელმწიფო სტრუქტურების საწვავით მომარაგებაში, მუშაობაში მაინც ბევრი ხარვეზი გვაქვს. ერთი მათგანი ამ კითხვაშიც იჩენს თავს, მაგრამ პირადად მე და ჩემი ორგანიზაცია ამ საქმეში უძლურები ვართ, რადგანაც იმაზე, რაც ბაზის ტერიტორიის გარეთ ხდება, პასუხს ვერ ვაგებთ. ამას სათანადო ორგანოები უნდა არეგულირებდნენ. მეტსაც გეტყვით, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ეს არ გვევალება, შემოვიღეთ მუდმივ მომხმარებელთათვის ნავთობპროდუქტების ხელწერილით გაცემა, რათა მათ მეტი პასუხისმგებლობა დავაკისროთ. თუმცა, თუ არ იქნება საქმისადმი ერთიანი მიდგომა, ეჭვი მეპარება, რამე მნიშვნელოვანის გაკეთება შევძლოთ.

ესაუბრა
მზია ნარმანია.

ფელეტონის მაგიერ

●

მთავარია მიტინგი!

რა დროს მიტინგებია,
სული კბილით გვიჭირავს,
როგორც ვხედავთ, ზოგიერთს
მარტო ამის ნიჟი აქვს!
რა დროს პოზიციაა,
რა დროს ოპოზიცია,
შიმშილისგან ერთურთი
ლამის ველარ გვიცვნია!
ცოტა მოვსულიერდეთ, —
მერე მოვყვეთ მიტინგებს,
ჩვენ ხომ ვიცით, იხედაც
ვერ მოვიშლით ინტრიგებს!
მერე, ისევ, თავიდან,
დავწვათ, ვლეწოთ, დავცხრილოთ,
ქალაქი და სოფელი
ნაცარტუტად ვაქციოთ!
ავაფეთქოთ ანძები,
ლიანდაგი ავყაროთ,
ურაპატრიოტიზმით
გავაცინოთ სამყარო!
მიტინგებზე ვიბაზროთ,
ვიმანჭოთ და ვიხოხმოთ,
თუ დაგვჭირდეს, სკამისთვის
მუცელზედაც ვიხოხოთ!
უქვანტავი, უშარო,
გავიჩხუდოთ საშაროდ,
თუ დაგვჭირდეს, საქვეყნო
საქმეებიც ჩავშალოთ!
კაცს რომ არ შეუქმნია
სალირალი კაპიკის,
სასიკეთოს იმისგან
რას ველით და რა გვიკვირს!
ამიტომაც გარჯისგან
თავი რატომ მოვიკლათ,
მიტინგებზე დავბაროთ,
დავთესოთ და მოვიმკათ!
მთავარია, მიტინგზე
ვიყოთ მთელი არსებით,
და ყელამდე გვექნება
საჭმელიც და სასმელიც!

ზურაბ კლდიაშვილი.

იუპიტერის დაბომბვა „შუმეიკერ-ლევი-9" კომეტის ნამსხვრევებით

დედამიწელების გაფრთხილებაა?

მოვლენის შემდეგ

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (იტარ-ტას-საქინფორმი). ავტომატურ ორბიტულ ობსერვატორია „ჰაბლიდან" მიღებულ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი „შუმეიკერ-ლევი-9" კომეტის ნამსხვრევებით იუპიტერის დაბომბვის ფეერიული სანახაობა ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერის შემაშფოთებელ ფიქრს იწვევს. მათი არსი ზუსტად გამოხატა კვირას გაზეთმა „ბოსტონ გლობმა": „იუპიტერის ადგილას შეიძლებოდა დედამიწაც ყოფილიყო. ერთხელ ეს ასეც შეიძლება მოხდეს".

მზის სისტემაში კოსმოსური ობიექტების ახლანდელი შეტაკების ანალიზი (მზის სისტემის ერთობლივი ენერგია მილიონჯერ აღემატება ჰიროსიმაში ჩაგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს), როგორც კალიფორნიის ეიმსის კვლევითი ცენტრის ასტრონომმა დევიდ მორისონმა, თქვა, შესაძლებლობას მოგვცემს დავაზროგნოზოთ აგრეთვე ჩვენი პლანეტისათვის ანალოგიური კატაკლიზმის შედეგები. მეცნიერი მეთაურობდა ექსპერტთა სპეციალურ ჯგუფს, რომელიც შექმნა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნულმა სამმართველომ, და რომელიც სწავლობდა იმ პოტენციურ საფრთხეს, რაც შეიძლება დედამიწას შეუქმნან ასტეროიდებმა და კომეტებმა. როგორც მან თქვა, იუპიტერის ანალოგიური დაბომბვის შედეგები შეიძლება კატასტროფული გამოდგეს — თვით ცივილიზაციაც კი მოისპოს.

„საბედნიეროდ, — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით სტენფორდის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი ფონ რი ეშლმანი, — არის შესაძლებლობა შეიქმნას პლანეტის დაცვის სისტემა ყველა სერიოზული შეტაკებისაგან", კერძოდ, აღნიშნავს ექსპერტი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში", შეიძლება შევიმუშაოთ „ახალი ტექნოლოგია" „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის ბაზაზე. პრინციპში რაკეტას შეუძლია კოსმოსში გაიტანოს ბირთვული მუხტი, რომლის დეტონაცია უშუალოდ კომეტის სიახლოვეს შეაცვლევინებს ტრაექტორიას მის ფრენას ან გამოიწვევს პლანეტისათვის მისი შემადგენელი ნაწილების საფრთხის დეზინტეგრაციას". ამ მიზნით, ხაზს უსვამს ეშლმანი, „უნდა დავიწყოთ გლობალური თანამშრომლობის შესაბამისი პროგრამა. როგორც ჩანს, ეს უკვე დღეს უნდა დავიწყოთ".

წერილების ექო

●

„ეჰ, ჩემო ლაბავ!"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 111.

რედაქციას უპასუხებს თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროსი დ. მინდიაშვილი.

გავეცანით თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც შეეხებოდა საგარეუბნო მატარებელ ახალციხე-თბილისში მგზავრთა მომსახურების დარღვევის ფაქტებს, კერძოდ, მატარებლის ვაგონით პირუტყვის გადმოყვანას.

ეს ფაქტი განვიხილეთ თბილისის სალოკომოტივო დეპოში და სათანადო შეფასება მივეცით. ბრძანებით მატარებლის უფროსი მემანქანე ი. კაჟიაშვილი გათავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო მის თანამშრომელს რ. აბულაძეს სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით გაფრთხილებულია მატარებლის ყველა ბრიგადა და დაწესებულია ყოველდღიური კონტროლი. მსგავსი შემთხვევის გამოვლენისას მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

ფრე მალტელებთან

გუშინ თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მალტისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

თანადგომა სჭირდებათ

თბილისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აგებული საკმაოდ მოზრდილი სპორტული კომპლექსია. ის 1978 წლიდან ფუნქციონირებს. ამ დროიდან მოყოლებული იქ მრავალჯერ გამართულა საერთაშორისო შეჯიბრებები, თუმცა, სპორტული ცხოვრება ბოლო წლებში მინელდა, კომპლექსი დღემდე მოქმედებს, როგორც პროფესიონალი სპორტსმენებისათვის, ასევე, უბრალოდ, წყლისა და მზის მოყვარულთათვისაც. განსაკუთრებული დატვირთვით იგი ზაფხულში მუშაობს.

19 მაისს გოგონათა ჯგუფმა (ნატო კუპავა, ხათუნა გოცირიძე, ნინო ბართაია, ალიონა კულიბერდა, ნატაშა გრიშინა, ტანია პლუტნიკოვა) სინქრონულ ცურვაში მშვენიერი სანახაობა უჩვენა სტუმრებს, კერძოდ ბიზნესმენებს. სწორედ მათზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ისინი მონაწილეობა მიიღონ ევროპის პირველობაზე სინქრონულ ცურვაში, რომელიც 23-26 ივლისს გაიმართება მოსკოვში.

როგორც მწვრთნელმა ქალბატონმა აზა ჯაფაროვამ გვითხრა, გუნდს ოთხეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვს. ფავორიტები კი საფრანგეთის, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის გუნდებია.

ალბათ, ქართული სპორტის გულშემატკივრები, ვისაც ხელეწიფება დახმარება, ხელს გაუწვდიან თბილისელ გოგონებს მონაწილეობა მიიღონ მოსკოვში გამართულ ევროპის პირველობაზე. ამისათვის დაახლოებით 5 000 დოლარია საჭირო.

მისამართი: საქართველოს რესპუბლიკის საწყლოსნო სპორტის სახეობათა კონფედერაცია, მთაწმინდის რაიონის სოცბანკი, ანგარიშის ნომერია: 000609294, მფო 521620.

მერე კი სიტყვა გოგონებზეა.

მედიცინის სიახლენი

ქირურგია: ულტრაბგერითი სკალპელი — ეს სრულიად უმტკივნეულოა

ბერლინის საავადმყოფო „შლოსპარკის" მთავარი ქირურგი, დოქტორი ფოლკერ ლანგე — ერთადერთი გერმანიაში — რეგულარულად აკეთებს ნაღვლის ბუშტის, ელენთისა და კუჭის ქირურგიულ ოპერაციებს ულტრაბგერითი სკალპელის მეშვეობით.

აქამდე შინაგანი ოპერაციებისას ადამიანის სხეულში სისხლძარღვებიდან შეჰყავდათ ქირურგიული მინი-ინსტრუმენტები, მაგალითად, ელექტრონული სკალპელი, რომელსაც ხმარობდნენ სხეულის გასაკვეთად, ნაოპერაციები ქსოვილის „შესადუღაბებლად".

„ეს კი, — ამბობს დოქტორი ლანგე, — ზოგჯერ თანმდევ დამწვრობას იწვევს. ელექტრული დენი უფრო ღრმად ჩადის ქსოვილში, ვიდრე ულტრაბგერა. ოპერაციის დროს ექიმი დამწვრობას ვერ ამჩნევს, არადა, შესაძლოა ასეთმა დამწვრობამ კუჭის გახვრეტაც გამოიწვიოს".

დოქტორი ლანგე ამერიკული ულტრაბგერითი სკალპელით მუშაობს. მარტო ბოლო ორი თვის მანძილზე მან ამ მეთოდით ასზე მეტ ადამიანს, ყოველგვარი გართულების გარეშე გაუკეთა ნაღვლის ბუშტის, ელენთის, კუჭის, სწორი ნაწლავის ოპერაცია. ლანგეს აზრით, ულტრაბგერითი სკალპელის ღირსება მარტო ის კი არ არის, რომ სრულიად უსაფრთხოა, არამედ ისიც, რომ ოპერაციის დროს პაციენტი ტკივილს არ გრძნობს.

ამას იუწყება გაზეთი „იზვესტია".

არ გეშლებათ არჩევანი
მოგებაა „არჩევანი"!

„არაგვი ბიზნეს ბანკი"
ფირმა „ბერო"

სიახლე ლატარეის გათამაშებაში
ლატარეა „არჩევანი"!
პოტენციურად იგებს ყოველი ბილეთი,
თუ კი თქვენ სწორ არჩევანს გააკეთებთ.
რისკი — მხოლოდ $ 0.5,
შესაძლო მოგება — $ 500.
შეძენილ ბილეთში ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი უჯრა,
გადაშალეთ იგი და თუ გამოჩნდა ერთ-ერთი რიცხვი
0001 0002, 0003, 0004, 0005, 0100, 1000
თქვენ მოიგეთ!

მოგების ოდენობა შეადგენს ბილეთის ღირებულებას, გამრავლებულს თქვენს მიერ გადაშლილ მომგებიან რიცხვზე. გადაშლილ უჯრაში 0000-ის გამოჩენისას, თქვენ არ იგებთ, მაგრამ დანარჩენი უჯრების გადაშლით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ერთ-ერთ მათგანში აუცილებლად წერია მომგებიანი რიცხვი, რომელსაც თქვენ ვერ მიაგენით.

ხუთჯერად ოდენობამდე მოგებული თანხები გაიცემა ბილეთის გაყიდვის ადგილებზე, ასჯერადი და ათასჯერადი მოგებები კი - მხოლოდ „არაგვი ბიზნეს ბანკში", 1994 წლის 1 ოქტომბრამდე.

მისამართზე: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 16
(მშენებლობის სამინისტროს შენობაში)

მოგება არ გაიცემა თუ ბილეთი ყალბია, დეფექტურია, გადაშლილია ერთზე მეტი უჯრა ან წარწერა — „არ გადაშალოთ".
ბილეთის ფასია..........$ 0.5 (გინდ გქონია, გინდ არა)
შესაძლო მოგება კი.......$ 500 (ეს ხომ ფულია!)
*(ბილეთები იყიდება დოლარის შესაბამის კურსით კუპონებში)

მოსკოვის
ფოტო-სალონი
„ნატაშა"
აცხადებს კონკურსს ვაკანტური ადგილების დასაკავებლად და იწვევს სამუშაოდ ფოტომოდელის ადგილზე 6-თვიანი კონტრაქტით 18-დან 25 წლამდე ასაკის ქალიშვილებს, რომლებიც გამოირჩევიან კარგი გარეგნობით და თავისუფლად ფლობენ რუსულ ენას.
შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო მგზავრობით მოსკოვამდე, საცხოვრებლით, სწავლებითა და მინიმალური ხელფასით - 200 დოლარი.
კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ფერადი ფოტოსურათი საცურაო კოსტუმში;
2. ჯანმრთელობის ცნობა — ფორმა 086;
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
განცხადებებს იღებს და კონკურსის შედეგებს აჯამებს შესარჩევი კომისია შემდეგ მისამართზე:
დ. აღმაშენებლის გამზირი №89-24,
მეტრო „მარჯანიშვილის" თავზე,
მე-5 სართული, ოთახი №1.
ყოველდღე 10-დან 15 საათამდე.

თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. სახელმწიფო ავტოინსპექციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმიანობა (საშუალო სკოლის ბაზაზე);
2. ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (9 კლასის ბაზაზე);
3. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (საშუალო სკოლის ბაზაზე);
4. პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტოტექნიკური კომპლექსების ტექნიკური მომსახურება (9 კლასის ბაზაზე);
5. ავტომატიზებულ წარმოებაში პროგრამული მართვის ელექტრონული სისტემების გაწყობა და ექსპლუატაცია (9 კლასის ბაზაზე);
6. სამედიცინო ტექნიკის მონტაჟი ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (საშუალო სკოლის ბაზაზე);
7. საშემდუღებლო წარმოების ტექნოლოგია (9 კლასის ბაზაზე);
8. ხის დამუშავების ტექნოლოგია (საშუალო სკოლის ბაზაზე).
სწავლა უფასოა.
კოლეჯდამთავრებულებს ენიჭებათ ინჟინრის კვალიფიკაცია.
საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე.
დაწვრილებით ცნობების შესახებ მიაკითხეთ კოლეჯს მისამართზე:
დ. უზნაძის ქ. №70 (ყოფილი კამოს ქუჩა),
ტელ: 95-21-43, 95-46-65, 96-85-19,
95-91-99, 95-96-59.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის
ა) დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
1. ავტომატური ელექტრონული კავშირი;
2. მრავალარხიანი ელექტრონული კავშირი;
3. რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა;
4. საფოსტო კავშირი.
ბ) დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
1. ავტომატური ელექტროკავშირი;
2. საფოსტო კავშირი.
ტექნიკუმში მიიღებიან საშუალო განათლებამიღებული პირები და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა)
2. მათემატიკაში (ზეპირი)
დღის სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. სწავლა უფასოა.
განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1994 წლის 15 აგვისტომდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: საშუალო განათლების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №086, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ, 5 ცალი ფოტოსურათი 3X4სმ, პასპორტი და სამხედრო ბილეთი წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 16-დან 20 აგვისტომდე. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 9-დან 16 საათამდე.
მისამართი:
თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48,
ტელეფონი: 71-92-21, 71-92-23,
ტრანსპორტი მეტროს სადგურ „ისნიდან" ტრამვაი №7.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
„ელვა"-ს
მმართავ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით ვთხოვთ ჩვენგან პენსიაზე გასულ, აგრეთვე 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ, ამჟამად შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე მყოფ უმუშევარ თანამშრომლებს ა. წ. 20 სექტემბრამდე მოგვაკითხონ
ჯიქიას ქუჩა №5-ში,
აქციების მიღებისათვის რეგისტრაციაში გასატარებლად.
ქარხნის ადმინისტრაცია

ერთი პირის საწარმო
ფირმა „A&Co"
აგრძელებს ანაბრების მიღებას მოსახლეობისაგან
1-2 თვით 15 პროცენტი,
3-4 თვის ვადით
20 პროცენტი
ყოველთვიური გაცემით.
ჩვენი მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი 49-ა,
სპორტკომიტეტის შენობაში.
ტელ: 29-29-05.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 22 ივლისს.

მთავარი რედაქტორი [illegible]